სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

01 ივლისი, 2024 წ.

# ბრძანება N 01-18/188

## 2024 წლის ივლის-დეკემბერში განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N02 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების ფორმებისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის N01-08/39 ბრძანების, ,,ბსუ-ს სტუდენტურ პროექტებზე გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობისა და სტუდენტური პროექტის საბიუჯეტო განაცხადის ფორმის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 03 მაისის N01-10/49 ბრძანების (ცვლილება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 18 ოქტომბრის N01-10/118 ბრძანებით), „2024 წლის ივლის-დეკემბერში განსახორციელებელი ბსუ-ს **სტუდენტური პროექტების შესარჩევი დამატებითი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 18 ივნისის N01-02/93 ბრძანების,** „2024 წლის ივლის-დეკემბერში განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების გამოვლენის, განხილვისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 28 ივნისის N01-02/105 ბრძანების, ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 28 ივნისის N773647 და 2024 წლის 01 ივლისის N780661 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. **დაფინანსდეს** 2024 წელს ივნისში ჩატარებული კონკურსის შედეგად გამარჯვებული, **2024 წლის ივლის-დეკემბერში განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტები:**

**ა) „დებატბანაკი 2024“ (დანართი 1)** - პროექტის ავტორი **მელანო ჩხაიძე** (ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „მედიცინის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მესამე სასწავლო წლის სტუდენტი; პროექტის ბიუჯეტი - 13 400 ლარი);

**ბ) „ვიზიტები სახელმწიფო უწყებებში“ (დანართი 2)** - პროექტის ავტორი - **მარიამ ანთაძე** (ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე სასწავლო წლის სტუდენტი; პროექტის ბიუჯეტი - 15 000 ლარი);

**გ) „ახალგაზრდების როლი რეგიონის განვითარებაში“ (დანართი 3)** - პროექტის ავტორი - **დათა კობალაძე** (ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მესამე სასწავლო წლის სტუდენტი; პროექტის ბიუჯეტი - 15 000 ლარი);

დ) „შეიმეცნე საქართველო“ (დანართი 4) - პროექტის ავტორი **ნიკა საჯაია** (ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის „არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე სასწავლო წლის სტუდენტი; პროექტის ბიუჯეტი 15 000 ლარი);

ე) **„ტაოს ბილიკები-მოგზაურობა საზღვრებს მიღმა“ (დანართი 5)** - პროექტის ავტორები: **1. ჯანრი ბერიძე** (ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე სასწავლო წლის სტუდენტი) და **2. ლიზი ბაბუჩაიშვილი** (ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე სასწავლო წლის სტუდენტი; პროექტის ბიუჯეტი - 15 000 ლარი);

ვ) „AIRSOFT“ (დანართი 6) - პროექტის ავტორი **საბა გოგიტიძე** (ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „ეკოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე სასწავლო წლის სტუდენტი, პროექტის ბიუჯეტი - 5000 ლარი);

**ზ) „City Game“ (დანართი 7)** - პროექტის ავტორი **სალომე ბერიძე** (ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სასწავლო წლის სტუდენტი, პროექტის ბიუჯეტი - 5000 ლარი).

2. ამ ბრძანებით დამტკიცებული სტუდენტური პროექტების ბიუჯეტების და ბსუ-ს სამართლებრივი აქტების შესაბამისად რესურსების განკარგვის კოორდინაცია უზრუნველყოს ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა და წინამდებარე ბრძანების დანართების შესაბამისად განხორციელდეს პროექტების ბიუჯეტებით გათვალისწინებული აქტივობები (პერსონალის მოწვევა, სამსახურებრივი ბარათების წარმოდგენა, მატერიალური რესურსების გამოყენება, შეძენა და სხვა).
3. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ (ა. ბერიძემ).
4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის, ტექნოლოგიურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტებს, სტუდენტური **პროექტების ხელმძღვანელებს:** მელანო ჩხაიძეს, მარიამ ანთაძეს, დათა კობალაძეს, ნიკა საჯაიას, ჯანრი ბერიძეს, ლიზი ბაბუჩაიშვილს, საბა გოგიტიძეს და სალომე ბერიძეს (მათთვის ჩაბარება უზრუნველყოს ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა).
6. ბრძანება ძალაშია ხელისმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა N30).

**ადმინისტრაციის ხელმძღვანელი** **მერაბ დიასამიძე**

„2024 წლის ივლის-დეკემბერში განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 01 ივლისის N01-18/88 ბრძანების

**N1 დანართი**

პროექტის ID: 115

2024 წლის ივლის-დეკემბერში განსახორციელებელი სტუდენტური პროექტი **„დებატბანაკი 2024“**

(საგანმანათლებლო მიმართულებით)

| | | | |
|---|---|---|---|
| განმცხადებელი | პროექტის ხელმძღვანელის/განმცხადებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი | **მელანო ჩხაიძე ( 4)** | |
| | სტუდენტთა ჯგუფის/გაერთიანების სახელი (ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პროექტის შემთხვევაში) | | |
| | განმცხადებლის ფაქტობრივი მისამართი | ბათუმი, გრიბოედოვის N30 | |
| | საკონტაქტო მობილურის ნომერი | | |
| | საკონტაქტო ელექტრონული ფოსტა | | |
| პროექტის შესახებ | პროექტის დასახელება (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად) | **დებატბანაკი 2024** | |
| | პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღები | დაწყების თარიღი | დასრულების თარიღი |
| | | 05/07/2024 | 10/12/2024 |
| | | (რიცხვი/თვე/წელი) | (რიცხვი/თვე/წელი) |
| | **პროექტის მთლიანი ბიუჯეტი** | **13 400 ლარი** | |
| | თანადაფინანსება | 0 | |
| | ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა | 13400 | |

**ხელმოწერა**
(პროექტზე პასუხისმგებელი პირი/განმცხადებელი/ხელმძღვანელი)

მ. ჩხაიძე

თარიღი

26/06/2024

რიცხვი/თვე/წელი

## პროექტის აღწერა:

### ა) პრობლემის განსაზღვრა:

მოგეხსენებათ, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს უჭირთ მასშტაბური აქტივობების ორგანიზება და განხორციელება. ხშირად ისინი დახმარებისთვის მიმართავენ ან ბსუ-ს ადმინისტრაციას ან გარე ორგანიზაციებს. ეს ყოველივე კი გამოწვეულია წარმატებული და აქტიური სტუდენტების თანამშრომლობის ხარისხის სისუსტით ან არარსებობით.

ხშირად სხვადასხვა სტუდენტები საკუთარი ინიციატივით ახორციელებენ აქტივობებს, მაგრამ იმის გამო რომ სხვა სტუდენტები ნაკლებად არიან ჩართულნი როგორც ორგანიზებაში ასევე უბრალოდ მონაწილეობაში შესაბამისი ღონისძიებები იმ ხარისხით ვერ ხორციელდება რა მიზნებიც და მოლოდინიც ჰქონდათ შესაბამისი აქტივობის განმხორციებლებს.

პროექტის, დებატბანაკის ძირითადი იდეა გახლავთ შესაბამისი სტუდენტების გამოვლენა, გაერთიანება და ისეთი უნარების გაზიარება/სწავლება, რომელიც დამატებით დაეხმარებათ როგორც ბსუ-ში ასევე მის ფარგლებს გარეთ ორგანიზებული და მასშტაბური ღონისძიების განხორციელებაში. აღნიშული პროექტის ქვე-იდეა ასევე გახლავთ სტუდენტებში იმ სტერეოტიპების დამსხვრევა რაც დებატებთან ასოცირდება.

### ბ) მიზანი:

უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე კარგად ვიცით, რომ ბსუ-მ უნდა შეასრულოს მნიშვნელოვანი სოციალური როლი რეგიონისა და ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში კერძოდ: ჩვენ დავისახეთ მიზნად, გავზარდოთ სტუდენტთა ჩართულობა დებატების ხელოვნების განვითარებაში, რაც მოიზრებს დებატების ხელოვნების პოპულარიზაციასა და სტუდენტთა განვითარებას

სტუდენტები განავითარებენ დებატების უნარ-ჩვევებს, რომლებიც მნიშვნელოვანია რათა იყვნენ წარმატებული თავიანთ საქმეში, შეიძინონ ახალი მეგობრები, გაეცნონ ახალ სამუშაო გარემოს, ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს ახალგაზრდების განვითარებასა და მათ სრულფასოვან პიროვნებებად ჩამოყალიბებას.

პროექტის ძირითადი მიზნები გახლავთ:

I. წარმატებული და აქტიური სტუდენტების გამოვლენა და სოციალიზაცია
II. გავუზიაროთ/ვასწავლოთ ახალგაზრდებს მიიღონ თანამედროვე, მაღალი ხარისხის განათლება და გამოცდილება, რომელიც მათ სამომავლოდ ხელს შეწყობს პროფესიულ ორიენტაციაში.

III. გაიღრმავონ კრიტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევები, დაეუფლონ საჯარო გამოსვლების და მოლაპარაკებების ხელოვნებას.
IV. იმუშავონ საქართველოში მიმდინარე ყველაზე აქტუალურ/პრობლემატურ საკითხებზე, შეიმუშაონ საკუთარი გადაჭრის გზები გლობალური პრობლემებისა.

**გ) ამოცანები:**

ჩვენი გუნდის ამოცანაა პროექტში მონაწილე სტუდენტებს გამოვუმუშავოთ ყველა ის საჭირო უნარ-ჩვევა, რომელიც ახასიათებს ფორმალურ დებატებს და რომელიც შემდგომ გარანტირებულად დადებითად აისახება სტუდენტის პროფესიულ და კარიერულ განვითარებაზე, რაც დაეხმარება მათ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დაინახონ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე და შემოგვთავაზონ ახალი ინოვაციური და უკეთესი პირობები.

**დ) განხორციელების გზები:**

დებატბანაკის ორგანიზებისთვის პირველ რიგში საჭიროა იმ სივრცის გამოყოფა, რომელშიც წარიმართება სწავლება, გადამზადების პროცესი გაგრძელდება რამდენიმე დღე ქალაქგარეთ და დატვირთული იქნება, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული სწავლებით.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩავატარებთ დებატების ტურნირს, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები. ასევე გვეყოლება ტურნირის მოწვეული მსაჯები. დავიწყებთ მზადებას დებატების პროექტისთვის მის შესახებ სოციალურ ქსელსა და პორტალზე განცხადებით. შეირჩევა მოდებატეები, ხოლო შერჩევის შემდგომ მზადებას დავიწყებთ დებატისთვის, რომელიც როგორც აღვნიშნე გაიმართება ქალაქგარეთ.

**პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი 2024 წელს**
**(შესრულების გეგმა)**

| N | პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეტაპი 1 | | | | | | | |
| 1 | მონწილეთა რეგისტრაციის აპლიკაციის ჩაშვება | + | + | + | + | + | + |
| 2 | მონაწილეთა გადახარისხება/გადარჩევა | + | + | + | + | + | + |
| ეტაპი 2 | | | | | | | |
| 1 | დებეტების ტრენინგი | + | + | + | + | + | + |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | დებეტების ტურნირი | + | + | + | + | + | + |
| 3 | დებეტების ტურნირი | + | + | + | + | + | + |
| ეტაპი 3 | | | | | | | |
| 1 | დებატის მონაწილეთა დაჯილდოება (საუკეთესო მოდებატეთა გამოვლენა) | + | + | + | + | + | + |

**მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები:**

პროექტის ბენეფიციარები იქნებიან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები.

**მოსალოდნელი შედეგები:**

ჩართული მონაწილეები დებატკლუბის მონაწილეების შემდგომ შეძლებენ მიღებული ცოდნა გამოიყენონ პრაქტიკაში აქვე ისიც, უნდა ვთქვათ, რომ მონაწილეები შეიმუშავებენ ეფექტურ ვერბალურ და არავერბალურ კომუნიკაციის ტექნიკას, რაც მათ საშუალებას მისცემს გამოხატონ თავიანთი იდეები მკაფიოდ, ლაკონურად და თავდაჯერებულად.-პრაქტიკისა და გამოხმაურების მეშვეობით მონაწილეები დახვეწენ თავიანთი პრეზენტაციის წარმოდგენის უნარებს, რაც მნიშვნელოვანია დებატების ხელოვნებაში, აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ პროექტის საშუალებით ახალგაზრდებს ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ სხვადასხვა თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნა სხვადასხვა თემაზე და შეუძლიათ განივითარონ და გაამდიდრონ შესაბამისი უნარ-ჩვევები. პროექტის წარმატებას განსაზღვრავს ისიც, რომ ახალგაზრდები მიიღებენ მნიშვნელოვან ინფორმაციას მათთვის საჭირო თემების შესახებ.

**მონიტორინგი:**

პროექტს მონიტორინგს გაუწევს სტუდენტთა კარიერული განვითარების დეპარტამენტი

**შეფასება:**

ჩვენ განსაზღვრული გვაქვს წინასწარ ის ძირითადი კრიტერიუმები, რომლებიც დეტალურად განსაზღვრავენ თუ რა იქნება წარმატების ძირითადი მაჩვენებელი ესენია:
1. ჩართული სტუდენტების, სამომავლოდ მიღებული ცოდნის საუნივერსიტეტო სივრცეში გამოყენება;
2. ახალგაზრდები სამომავლოდ თვითონ იქნებიან სხვადასხვა ლიდერული პროექტების ხელმძღვანელები და ავტორები
3. სტუდენტებს გაუჩნდებათ სურვილი განახორციელონ და აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებას შეუერთდნენ სწორედ ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმები, იქნება ჩვენი პროექტის შეფასების საშუალება, რისთვისაც ჩემი გუნდი და მე მზად ვართ მუხლჩაუხრელად ვიმუშავოთ!

| | პროექტის დასახელება - **დებატბანაკი 2024** | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **პროექტის მოკლე აღწერა** | | | | | | | | | | | | |
| N | განსახორციელებელი აქტივობის /ღონისძიების/ ხარჯის დასახელება | გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება | თანხა (ლარი) | მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი | ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად | | | | | | |
| | | | | | | ივლ | აგვ | სექტ | ოქტ | ნოე | დეკ | |
| 1 | საკანცელარიო ნივთები | საჭირო ნივთებით უზრუნველყოფა პროექტის | 400 | მონაწილეების და ხელმძღვანელები ს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა. | იქნებიან მონაწილეები და ხელმძღვანელები 100%-ით უზრუნველყოფილი შესაბამისი საჭიროების ნივთებითა და პირობებით. | + | + | + | + | + | + | |
| 2 | სტუდენტთა განთავსება/ სასტუმრო/ კვება/ გზის ანაზღაურება | სასტუმროს მომსახურება/კვება/ ტრანსპორტირება | 10 000 | ჩართული სტუდენტები იქნებიან კმაყოფილი | სტუდენტთა კმაყოფილება | + | + | + | + | + | + | |
| 3 | ტრენერის შრომის ანაზღაურება | ტრენერის შრომის ანაზღაურება | 2 000 | მონაწილე სტუდენტთა ცოდნის გაღრმავება | სტუდენტთა ცოდნის და კმაყოფილების დონე | + | + | + | + | + | + | |
| 4 | სტუდენტების შრომის ანაზღაურება | პროექტის ხელმძღვანელის ანაზღაურება | 1 000 | გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ მიზნებს ზედმიწევნით შესრულება | სტუდენტის კმაყოფილება | + | + | + | + | + | + | |

„2024 წლის ივლის-დეკემბერში განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“

**ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 01 ივლისის N01-18/188 ბრძანების**

**N2 დანართი**

პროექტის ID: 108

2024 წლის ივლის-დეკემბერში განსახორციელებელი სტუდენტური პროექტი - **„ვიზიტები სახელმწიფო უწყებებში“**

(საგანმანათლებლო მიმართულებით)

| | | | |
|---|---|---|---|
| განმცხადებელი | პროექტის ხელმძღვანელის/განმცხადებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი | **მარიამ ანთაძე** (პ/ნ 6 ) | |
| | სტუდენტთა ჯგუფის/გაერთიანების სახელი (ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პროექტის შემთხვევაში) | | |
| | განმცხადებლის ფაქტობრივი მისამართი | | |
| | საკონტაქტო მობილურის ნომერი | | |
| | საკონტაქტო ელექტრონული ფოსტა | m | |
| პროექტის შესახებ | პროექტის დასახელება (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად) | **„ვიზიტები სახელმწიფო უწყებებში“** | |
| | პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღები | დაწყების თარიღი | დასრულების თარიღი |
| | | 2024-07-05 | 2024-08-05 |
| | | (რიცხვი/თვე/წელი) | (რიცხვი/თვე/წელი) |
| | პროექტის მთლიანი ბიუჯეტი | **15000** | |
| | თანადაფინანსება | | |
| | ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა | 15000 ლარი | |
| ხელმოწერა ( პროექტზე პასუხისმგებელი პირი/განმცხადებელი/ხელმძღვანელი) | | მ. ანთაძე | |
| თარიღი | | 28/06/2024 რიცხვი/თვე/წელი | |

პროექტის აღწერა:

**პრობლემის განსაზღვრა:** სტუდენტთა და სახელმწიფო უწყებებს (საქართველოს პარლამენტი, ცესკო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო, საკონსტიტუციო სასამართლო, უზენაესი სასამართლო, სახელმწიფო კანცელარია) შორის ეფექტური მუნიკაცია უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სტუდენტთა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში მოსაყვანად, სამოქალაქო ჩართულობის და მოქალაქეობრივი თვითშეგნების გასაძლიერებლად, მმართველობის პროცესების გაგების გათვალსაჩინოებლად, სახელმწიფო უწყებათა სტრუქტურის შესასწავლად, მუშაობის პრინციპის გასაგებად და სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის ჩამოსაყალიბებლად. თუმცა, სტუდენტთა წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი გამოწვევაა - რეგიონალურ/ცენტრალურ სახელმწიფო უწყებებთან პირდაპირი ურთიერთობისა და კომუნიკაციის ნაკლებობა და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში მოყვანის შესაძლებლობა. აღნიშნული გარემოება ქმნის ინფორმაციულ ვაკუუმს და პრაქტიკის ნაკლებობას: სახელმწიფო ორგანოების ფუნქციონირებაზე, კარიერულ განვითარებაზე, პოლიტიკის შემუშავების პროცედურაზე, საჯარო მოხელეების როლებსა და პასუხისმგებლობებზე. პროექტის ფარგლებში უწყების სპეციფიკიდან გამომდინარე პრიორიტეტი მიენიჭებათ შესაბამისი სპეციალობის სტუდენტებს.

მიზანი:

სახელმწიფო უწყებათა საქმიანობის გაგება სტუდენტებს დაეხმარება ინფორმირებული და პასუხისმგებლიანი მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში. ამის მიღწევის ერთ-ერთი ეფექტური გზაა სახელმწიფო დაწესებულებებში ორგანიზებული ვიზიტები და მათი „შიდა სამზარეულოს“ გაცნობა. ეს პროექტი მიზნად ისახავს: სტუდენტთა ცნობიერების ამაღლებას, სამოქალაქო-დემოკრატიული საკითხების პოპულარიზაციას და კარიერული განვითარების მხარდაჭერას.

სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება:

ეს პროექტი ხელს შეუწყობს სტუდენტებს, რეგიონალური და ცენტრალური საკითხების, სახელმწიფოს განვითარების პროექტებისა და ინიციატივების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, რის შედეგადაც მათ ექნებათ შესაძლებლობა გახდნენ ადგილობრივი მმართველობისა და თემის საქმეების აქტიური მონაწილენი.

დემოკრატიულ საკითხთა პოპულარიზაცია

ეს პროექტი ხელს შეუწყობს სტუდენტებს დემოკრატიული საკითხების უკეთ გაგებაში და მათი, როგორც მოქალაქის როლის და

უფლებების გაგაებაში სახელმწიფო უწყებათა დაკავშირებით. შესაბამისად, სახელმწიფო უწყებებთან მნიშვნელოვანი ჩართულობა აღძრავს სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობას და წაახალისებს სტუდენტებს პოზიტიური წვლილი შეიტანონ თავიანთ თემებში.

კარიერული შესაძლებლობების პოპულარიზაცია:

ამ პროექტის მეშვეობით მათთვის უფრო თვალსაჩინო იქნება უწყებათა სტრუქტური გაცნობა და მუშაობის პრინციპის გაგება. სახელმწიფო მოხელეებთან შეხვედრა და რეგიონულ სააგენტოებში სხვადასხვა როლების გაცნობა აუცილებელია იმისათვის, რომ სტუდენტებს მისმეს მოტივაციას განიხილონ კარიერა საჯარო სამსახურებში თუ ადმინისტრაციაში. მსგავსი ხასიათის შეხვედრა მნიშვნელოვანია, იმდენად რამდენადაც სტუდენტებმა შეიძლება არ იცოდნენ საჯარო სექტორში პოტენციური კარიერული გზების შესახებ.

ამოცანები:

პროექტის განმავლობაში შეირჩევიან სტუდენტები, რომლებსაც საშუალება ექნებათ ეწვიონ საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებს (საქართველოს პარლამენტი, ცესკო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო, საკონსტიტუციო სასამართლო, უზენაესი სასამართლო, სახელმწიფო კანცელარია).

ბათუმი:

1. სტუდენტები ეწვევიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს, სადაც მოინახულებენ მნიშვნელოვან სტრუქტურულ ერთეულებს, მათთვის გაიმართება საინფორმაციო შეხვედრა, სტუდენტები გაეცნობიან აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ფუნქცია-მოვალეობებს. ასევე ექნებათ შესაძლებლობა ინტერაქტიულ პროცესში გამართონ დისკუსია საბჭოს წარმომადგენლებთან.
2. სტუდენტები ეწვევიან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს. გაიმართება საინფორმაციო შეხვედრა, გაეცნობიან საკრებულოს მუშაობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესს.
3. სტუდენტები ეწვევიან ცესკოს, სადაც საშუალება ექნებათ მიიღონ ინფორმაცია წინასაარჩევნო სამზადისის შესახებ, გაეცნონ ინოვაციებსა და ელექტრონული არჩევნების პრინციპს. ასევე, გაიზიარონ პრაქტიკული გამოცდილება.
4. სტუდენტები ეწვევიან საკონსტიტუციო სასამართლოს, სადაც პრიორიტეტი მიენიჭებათ სამართლის სტუდენტებს. მათ საშუალება ექნებათ გაეცნონ სასამართლო სტრუქტურას და მიიღონ გამოცდილება პროფესიული განხრით.

თბილისი:

1. სტუდენტები ეწვევიან საქართველოს პარლამენტს. მოინახულებენ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მკითხველთა დარბაზს და წიგნების მუზეუმს.

გაეცნონიან სათათბირო და სასესიო დარბაზების მნიშვნელობასა და ისტორიას. ასევე გაიმართება საინფორმაციო შეხვედრა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან.

2. სტუდენტები ეწვევიან საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, სადაც საშუალება ექნებათ მიიღონ ინფორმაცია წინასაარჩევნო სამზადისის შესახებ, გაეცნონ ინოვაციებსა და ელექტრონული არჩევნების პრინციპს. ასევე, გაიზიარონ პრაქტიკული გამოცდილება.
3. სტუდენტები ეწვევიან საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სადაც საშუალება ექნებათ სასამართლოს წარმოადგენის მიერ მიიღონ ინფორმაცია მუშაობის პრიციპის შესახებ და ჩაატარონ საინფორმაციო ტური სასამართლოში.
4. სახელმწიფო კანცელარია

დ) განხორციელების გზები:

1. სტუდენტმა უნდა დააფიქსიროს მოთხოვნა, სარეგისტრაციო ფორმის მეშვეობით, წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი, რომელიც გამოავლენს მის მონდომებას, პროექტში ჩართულობასთან დაკავშირებით, სურვილისამებრ წარმოადგინოს CV ქართულ ენაზე, რომლითაც თითოეულ უწყებებში ვიზიტის ფარგლებში შეირჩევა 40-მდე სტუდენტი (კითხვარი განთავსდება სოციალურ ქსელში, საინფორმაციო დაფებსა და BSU-ს პორტალზე).
2. შევუთანხმდები სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელებს, მათთან კომუნიკაციის დახმარებით ერთიანად დავგეგმავ ვიზიტები, შემდგომ სტრუქტურებში: საქართველოს პარლამენტი, ცესკო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო, საკონსტიტუციო სასამართლო, უზენაესი სასამართლო, სახელმწიფო კანცელარია. სტუდენტები შეხვდებიან სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში. მათგან პირადად მიიღებენ ინფორმაციას და დაესწრებიან იმიტირებულ პროცესებს, რის მეშვეობით საშუალება მიეცემათ გამოავლინონ მათი თეორიული ცოდნა პრაქტიკაში (საპარლამენტო, საარჩევნო თუ სასამართლო).

პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი 2024 წელს
(შესრულების გეგმა)

| | საგანმანათლებლო/კულტურის/სპორტის მიმართულებით<br>პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| N | პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები | 1 თვე | 2 თვე | 3 თვე | 4 თვე | 5 თვე | 6 თვე |
| | ეტაპი I | | | | | | |
| 1 | შევქმნი ელექტრონულ სარეგისტრაციო ფორმას. | ივლისი | აგვისტო | | | | |
| 2 | ჩავატარებ საინფორმაციო შეხვედრას სტუდენტებთან პროექტის შესახებ და გავაცნობ პირობებს. | ივლისი | აგვისტო | | | | |
| 3 | მონაწილეთა შერჩევა | ივლისი | აგვისტო | | | | |
| 4 | შედეგების გამოქვეყნება | ივლისი | აგვისტო | | | | |
| | ეტაპი II | | აგვისტო | | | | |
| 1 | კომუნიკაცია სახელმწიფო უწყებებთან, შეთანხმება შეხვედრების დროსა და თარიღზე. | ივლისი | აგვისტო | | | | |
| | ეტაპი III | | აგვისტო | | | | |
| 1 | ვიზიტი სახელმწიფო უწყებებში (ბათუმი) | ივლისი | აგვისტო | | | | |
| | ეტაპი IV | | აგვისტო | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვიზიტი სახელმწიფო უწყებებში (თბილისი) | ივლისი | აგვისტო | | | | |

**მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები:** პროექტის სამიზნე ჯგუფია უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სახელმწიფოს მართავა-გამგეობისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესით, ასევე სამოქალაქო აქტივიზმისა და დემოკრატიული მართველობის პროცესებით.

**მოსალოდნელი შედეგები:** - აღნიშნული პროექტის დახმარებით სტუდენტები განივითარებენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რაც მათ დაეხმარება სწავლის პროცესის გაუმჯობესებაში. მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას გააზიარებენ თავიანთ თემში, ასევე უნივერსიტეტში, წაახალისებენ სამოქალაქო აქტივიზმს და ექნებათ საშუალება გაეცნონ სახელმწიფო სტრუქტურების „შიდა სამზარეულოს". სტუდენტები აგრეთვე უფრო მოტივირებულნი იქნებიან, რომ თავიანთი კარიერა საჯარო უწყებებს დაუკავშირონ და წვლილი შეიტანონ დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებაში.

**მონიტორინგი:**

თითოეულ შეხვედრაზე ვაწარმოებ დამსწრე საზოგადოების სარეგისტრაციო ანკეტას, რომელიც ნათელს გახდის სტუდენტების ჩართულობას ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის. პროექტის მიმდინარეობისას ფოტო-ვიდეო მასალას მივაწვდით სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და ჩვენს აქტივობებს რეგულარულად გავაშუქებთ სოციალურ ქსელებში. დასკვნით ნაწილში, დეპარტამენტს წარვუდგენ პროექტის ფარგლებში განხორციელებულ დეტალურ ეტაპებს, შედეგებს და პროექტის ეფექტიანობას.

**შეფასება:** სტუდენტებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის დაახლოება აუცილებელია სტუდენტების პრაქტიკული ცოდნის გასაძლიერებლად, სამოქალაქო ჩართულობისა და მოქალაქობრივი როლის გასაგებად. იმისათვის, რომ აქტიურად მიიღონ მონაწილეობა თავიანთი თემისა და მთლიანად საზოგადოების მომავლის ფორმირებაში. პროექტი, რომელიც ხელს უწყობს რეგიონულ/ცენტრალურ სახელმწიფო სტრუქტურებში ვიზიტებს, წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს კომუნიკაციის პრობლემების გადალახვისა და სტუდენტებსა და მათ რეგიონალურ სამთავრობო უწყებებს შორის უფრო მჭიდრო კავშირის გაძლიერდებას.

პროექტის დასახელება - **„ვიზიტები სახელმწიფო უწყებებში“**

პროექტის მოკლე აღწერა - ბსუ-ს სტუდენტების შერჩევა სახელმწიფო უწყებებში ვიზიტისა და უწყებათა მუშაობის პრინციპის გასაცნობად

| N | განსახორციელებელი აქტივობის/ღონისძიების/ ხარჯის დასახელება | გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება | თანხა | მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი | ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ივლ | აგვისტო | | | | | |
| 1 | ტრანსპორტირება | ორი ოც კაციანი ტრანსპორტი. | 4000 | ტრანსპორტირება ბათუმიდან თბილისამდე, სახელმწიფო უწყებებსა და სასტუმროში მისასვლელად. თბილისიდან ბათუმში დაბრუნება. | კომფორტული მგზავრობა | + | + | | | | | |
| 2 | სასტუმრო / განთავსება | 40 ადამიანზე გათვლილი სასტუმრო, ორი ღამით, საუზმით უზრუნველყოფილი. | 5000 | სტუდენთა განთავსება სასტუმროში. | უწყებებში ვიზიტის შემდგომ დასვენება, სტუდენტთა კმაყოფილება | + | + | | | | | |
| 3 | კვება | სადილისა და ვახშამის უზრუნველსაყოფად. | 4500 | კვების უზრუნველყოფა. | სტუდენტთა ენერგიის აღდგენა და კმაყოფილება | + | + | | | | | |
| 4 | შრომითი ანაზღაურება | პროექტის ხელმძღვანელის ანაზღაურებ. | 1500 | ხელმძღვანელის შრომითი ანაზღაურება გაწეული საქმიანობისათვის. | წახალისება, მოტივაცია, | + | + | | | | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ეფექტიანობის ზრდა. | | | | | | |

„2024 წლის ივლის-დეკემბერში განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 01 ივლისის N01-18/188 ბრძანების

N3 დანართი

პროექტის ID: 109

2024 წლის ივლის-დეკემბერში განსახორციელებელი სტუდენტური პროექტი - **„ახალგაზრდების როლი რეგიონის განვითარებაში“**

(საგანმანათლებლო მიმართულებით)

| | | | |
|---|---|---|---|
| განმცხადებელი | პროექტის ხელმძღვანელის/განმცხადებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი | **დათა კობალაძე** (პ/ნ | |
| | სტუდენტთა ჯგუფის/გაერთიანების სახელი (ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პროექტის შემთხვევაში) | | |
| | განმცხადებლის ფაქტობრივი მისამართი | ქ. შ | |
| | საკონტაქტო მობილურის ნომერი | | |
| | საკონტაქტო ელექტრონული ფოსტა | | |
| პროექტის შესახებ | პროექტის დასახელება (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად) | „ახალგაზრდების როლი რეგიონის განვითარებაში“ | |
| | პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღები | დაწყების თარიღი | დასრულების თარიღი |
| | | 5/07/24 | 10/08/24 |
| | | (რიცხვი/თვე/წელი) | (რიცხვი/თვე/წელი) |
| | პროექტის მთლიანი ბიუჯეტი | **15 000 ლარი** | |
| | თანადაფინანსება | | |
| | ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა | | |
| | თარიღი | 26/06/2024<br>რიცხვი/თვე/წელი | |

პროექტის აღწერა:

ა) **პრობლემის განსაზღვრა:** პროექტის ჩატარების მნიშვნელობას განსაზღვრავს რეგიონულ თუ მუნიციპალური სტრუქტურული მოწყობისა და პროექტების დაგეგმვა/განხორციელების პროცესთან დაკავშირებით სტუდენტთა ინფორმირებულობისა და ჩართულობის ნაკლებობა.

სამოქალაქო ჩართულობის მხრივ მწირი აქტიურობა ხელშემშლელი ფაქტორია, რაც რეგიონში სტუდენტთა ინტერესს ვერ წარმოაჩენს. პროექტში შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ მიიღონ ისეთ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაცია როგორიცაა: რეგიონული პოლიტიკის შემუშავების შესწავლა, თუ როგორ ხდება პოლიტიკისა და ადმინისტრირების განხორციელება, რაც სტუდენტებს დაეხმარება აღიქვას მის რეგიონში არსებული სტრუქტურის მოქმედების სფერო.

პროექტის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ ინფორმაციული საკითხების გაგების, რეგიონულ, ეროვნულ თუ გლობალურ დონეზე, რაც ხელს შეუწყობს ცნობიერების ზრდას, დაგეგმილი პროექტებისა თუ სტრატეგიული გეგმების დადებითი და უარყოფითი მხარეების აღმოჩენას.

ყველასათვის მნიშვნელოვანი კი, პრაქტიკული გამოცდილების ნაკლებობაა, საბანაკე ტიპის აქტივობას შესწევს ძალა, სხვადასხვა ვორქშოპებისა და აქტივობების ფარგლებში აღმოფხვრას ზემოთხსენებული პრობლემა. პროექტის ფარგლებში იქნება როლური თამაშები და ჯგუფური აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს პრაქტიკის სიმულირებას და ცნობიერების ამაღლებას, მუნიციპალურ ერთეულში სტრუქტურების მოწყობასთან დაკავშირებით, და მის ადმინისტრირებას.

ბ) **მიზანი:** პროექტის მიზანია ახალგაზრდების გაძლიერება, ახალგაზრდული პოლიტიკისა და რეგიონში არსებული მნიშვნელოვანი საკითხების ფარგლებში. ფორმალური, მათ შორის, არაფორმალური განათლების ხარჯზე ინტელექტუალური საბანაკე ტიპის შეხვედრების გამართვა, რაც ახალგაზრდებს მისცემს საშუალებას გააცნობიერონ თავიანთი პასუხისმგებლობა და პოტენციალი ისეთი თემებთან დაკავშირებით, როგორებიცაა განათლება, ჯანდაცვა, დასაქმება, მათი დაგეგმვის გზებისა და არსებული პრობლემების აღმოჩენის, აღმოფხვრის ტექნიკების შემეცნება.

პროექტის ,,ახალგაზრდების როლი რეგიონის განვითარებაში" მიზანია შეიმუშაოს, დანერგოს და შეაფასოს მდგრადი პოლიტიკის ჩარჩო, რომელიც მიზნად ისახავს ცხოვრების ხარისხის, განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობების, სამოქალაქო ჩართულობისა და ახალგაზრდების საერთო კეთილდღეობის გაუმჯობესებას. პროექტი მიზნად ისახავს შექმნას ინკლუზიური გარემო, სადაც სტუდენტებს ექნებათ შანსი გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები, გამოიყენონ ცოდნა პრაქტიკაში, გაზარდონ კომპეტენცია და რაც მთავარია, სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა წვლილი შეიტანონ რეგიონული პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში და გააცნობიერონ თავიანთი პოტენციალი.

ასევე, პროექტის მიზანია - ახალგაზრდების საჭიროებების, გამოწვევებისა და მისწრაფებების იდენტიფიცირება. გაცნობა ისეთი ინკლუზიური პოლიტიკური საკითხების, როგორიცაა სამართლიანი გარემოს შექმნა მუნიციპალური პოლიტიკის დაგეგმარების პროცესში და საერთაშორისო პრაქტიკის როლი ადმინისტრაციული ერთეულის მართვის პროცესში.

პროექტის ფარგლებში, სტუდენტები სიღრმისეულად შეისწავლიან და კონტაქტს დაამყარებენ სამთავრობო უწყებებთან, მათ წარმომადგენლებთან და კერძო სექტორთან რათა უზრუნველყოფილ იყოს პრაქტიკული ნაწილი, გამოცდილების ორმხრივი გაზიარება და პოლიტიკურ პროცესებთან ახლო თანამშრომლობა.

გ) **ამოცანები:** პროექტის ამოცანაა, სტუდენტებში მოტივაციის ამაღლება, გამოცდილების გაზიარება და ერთმანეთთან დაკავშირება, რაც დაეხმარება სტუდენტს ინტერესთა სფეროს გაღმავებაში, კავშირების დამყარებაში, კომუნიკაციის უნარჩვევების გაუმჯობესებასა და რეგიონში მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხების მიმართ ცნობადობის ამაღლებაში. ასევე, მიმდინარე რეგიონულ საკითხებზე ინფორმაციულ წვდომასთან დაკავშირებული პრობლემების დადგენა და გამოვლენის შემდგომ მისი აღმოფხვრა.

პროექტის მიზანი და ამოცანაა, ჩამოყალიბდეს სამუშაო ჯგუფები, რომლებიც აღმოაჩენენ რეგიონში არსებულ სოციო-ეკონომიკურ პრობლემებს, გაიგებენ პრობლემის მოგვარების სტრუქტურულ ხერხებს, გეგმა-გრაფიკს, თუ რა გზა უნდა განვლოს სამთავრობო უწყებებმა მცირე თუ მასშტაბური პრობლემის აღმოსაფხვრელად. გარდა ამისა, სტუდენტს შესაძლებლობა ექნება გაეცნოს მუნიციპალური პროექტების დაგეგმვის სპეციფიკას, შედგენისა და განხორციელების გზებს.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა, სხვადასხვაგვარი სემინარები, ვორქშოფები და ჯგუფური აქტივობები, მუნიციპალიტეტებსა და რეგიონებს შორის არსებული სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური საკითხების ირგვლივ.

დ) **განხორციელების გზები:** პროექტი განხორციელდება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონკურსის - „სტუდენტთა პროექტების" ფარგლებში.

პროექტს წარუძღვება კვალიფიციური მენტორი, ტრენერი, რომელიც სტუდენტებს გააცნობს რეგიონში არსებულ სამთავრობო უწყებების, ქვე-უწყებების სამუშაო არეალს, მათ შორის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის საკითხებს, რეგიონში სოციალური თუ ეკონომიკური პროგრამების დაგეგმარების ფარგლებში.

პროექტის ფარგლებში მოწვეულ მენტორს ეკისრება ვალდებულება, განახორციელოს სხვადასხვა ტიპის განმავითარებელი აქტივობები. პროექტის ფარგლებში განხორციელდება ახალგაზრდებისა და სტუდენტების რეგიონული პოლიტიკის, პასუხისმგებლობის განსააზღვრა.

პროექტის საბანაკე ტიპის აქტივობაა. რომელიც განხორციელდება ქალაქგარეთ. აქტივობები გათვლილია 3 დღესა და 2 ღამეზე, შესაბამისად იგი განხორციელდება შეთანხმების საფუძველზე მიღწეულ კონკრეტულ სასტუმროში, რომელიც აღჭურვილი იქნება საკონფერენციო ოთახით.

პროექტის ფარგლებში შერჩეული სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან ტრანსპორტირებით, კვებითა და სასტუმროში განთავსებით.

რაც შეეხება საინფორმაციო საკითხს, სტუდენტებს სოციალური ქსელისა და საინფორმაციო დაფის მეშვეობით მივაწვდი პროექტის შესახებ დეტალურ ინფორმაციას.

პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი 2024 წელს
(შესრულების გეგმა)

| | საგანმანათლებლო/კულტურის/სპორტის მიმართულებით<br>პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| N | პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები | 1 თვე | 2 თვე | 3 თვე | 4 თვე | 5 თვე | 6 თვე |
| | **ეტაპი I** | ივლისი | | | | | |
| 1 | შევქმნი ელექტრონულ სარეგისტრაციო ფორმას. | ივლისი | | | | | |
| 2 | ჩავატარებ საინფორმაციო შეხვედრას სტუდენტებთან პროექტის შესახებ და გავაცნობ პირობებს. | ივლისი | | | | | |
| 3 | მონაწილეთა შერჩევა | ივლისი | | | | | |
| 4 | შერჩეული მონაწილეების გამოვლენა | ივლისი | | | | | |
| | **ეტაპი II** | ივლისი | აგვისტო | | | | |
| 1 | ტრენინგის დღე I | ივლისი | აგვისტო | | | | |
| 2 | ტრენინგის დღე II | ივლისი | აგვისტო | | | | |
| 3 | ტრენინგის დღე III | ივლისი | აგვისტო | | | | |
| 4 | ტრენინგის დღე IV | ივლისი | აგვისტო | | | | |
| | | ივლისი | აგვისტო | | | | |
| | **ეტაპი III** | ივლისი | აგვისტო | | | | |
| 1 | მონაწილეთა დაჯილდოვება | ივლისი | აგვისტო | | | | |
| 2 | პროექტის დახურვა | ივლისი | აგვისტო | | | | |
| | | ივლისი | აგვისტო | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ეტაპი IV | ივლისი | აგვისტო | | | | |
| 1 | გამომგზავრება | ივლისი | აგვისტო | | | | |

**მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები:** ბსუ-ს სტუდენტები, რომლებიც გამოხატავენ პროექტში ჩართულობის მზაობას.

**მოსალოდნელი შედეგები:** პროექტის წარმატებით განხორციელებას მოყვება პროექტში ჩართული წევრების არაფორმალური ცოდნის ზრდა, საჯაროდ გამოსვლის ტექნიკებისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარება, რეგიონული სოციო-ეკონომიკური პრობლემების დადგენის, პროგრამის შემუშავების და აღმოფხვრის გზების შემეცნება.

პროექტის რაოდენობრივი მაჩვენებელი: პროექტის ფარგლებში მონაწილეობას მიიღებს 25 სტუდენტი და ორი მენტორ/ტრენერი.

თვისობრივი მაჩვენებელი: დამსწრე საზოგადოებას გაუუმჯობესდებათ კრიტიკული აზროვნება, მოსმენის უნარი და მსოფლმხედველობა. დაიძლევა სხვადასხვაგვარი სტერეოტიპები და გაძლიერდება სტუდენტთა პასუხისმგებლობა, რეგიონულ საკითხებთან დაკავშირებით.

**მონიტორინგი:** პირველ რიგში, სტუდენტთა შერჩევის პროცესი განხორციელედება სამოტივაციო წერილზე დაყრდნობით, სადაც სტუდენტი დააფიქსირებს თავის მზაობას და ინტერესს პროექტში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

შემდგომ ეტაპზე, თითოეულ შეხვედრაზე ვაწარმოებ დამსწრე საზოგადოების სარეგისტრაციო ანკეტას, რომელიც ნათელს გახდის სტუდენტების ჩართულობას ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის. გარდა ამისა, მოხდება დასურათება ყველა შეხვედრის, რომელიც გამოქვეყნდება სოციალურ ქსელში, პროექტის დასრულების შემდგომ კი, პრეზენტაციის სახით ბსუ-სა და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი წარვუდგენ პროექტის ფარგლებში განხორციელებულ დეტალურ ეტაპებს, შედეგებს და პროექტის ეფექტიანობას.

**შეფასება:** სტუდენტების როლის გაანსაზღვრა რეგიონების განვითარებისთვის აუცილებელ მნიშვნელობას წარმოადგენს. პროექტის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ პრაქტიკული ვორქშოპებისა და პირდაპირი კომუნიკაციის ფარგლებში გამოავლინონ თეორიული ცოდნა და გაიგონ უფრო რეგიონული პოლიტიკის დაგეგმარების ფარგლებში. პროექტი ხელს უწყობს სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდას, რაც სტუდენტს მიღებული ცოდნით მისცემს საშუალებას წვლილი შეიტანოს თავისი თემისა თუ რეგიონის განვითარებაში. პროექტის ფარგლებში, სტუდენტები შეძლებენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგან კომუნიკაციის უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად. გარდა ამისა, შესაძლებლობა ექნებათ დაამყარონ მჭიდრო კავშირი რეგიონულ/სამთავრობო უწყებებს შორის.

| | პროექტის დასახელება - **„ახალგაზრდების როლი რეგიონის განვითარებაში"** | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **პროექტის მოკლე აღწერა** - პროექტის მიზანია შეიმუშაოს და დანერგოს მდგრადი პოლიტიკის ჩარჩო, რომელიც მიზნად ისახავს ცხოვრების ხარისხის, განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობების, სამოქალაქო ჩართულობისა და ახალგაზრდების საერთო კეთილდღეობის გაუმჯობესება, რეგიონულ დონეზე. | | | | | | | | | | | | |
| N | განსახორციელებელი აქტივობის/ღონისძიების/ხარჯის დასახელება | გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება | თანხა | მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი | ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად | | | | | | | |
| | | | | | | ივლ | აგვ | | | | | | |
| 1 | სასტუმრო / განთავსება | 30 ადამიანზე გათვლილი სასტუმრო, საკონფერენციო ოთახით და საუზმით უზრუნველყოფილი. | 10 000 | სტუდენტთა განთავსება სასტუმროში, პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის. | გასვლითი აქტივობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია სასტუმროში განთავსება. სტუდენტთა კმაყოფილება. | + | + | | | | | | |
| 3 | შრომითი ანაზღაურება / ტრენერი | ანაზღაურება მოწვეული ტრენერებისათვის. | 2500 | ტრენერთა შრომითი ანაზღაურება, გაწეული საქმიანობისათვის. | ანაზღაურება პროექტის ეფექტიანად ჩატარებისთვის. სტუდენტთა ცნობიერების ზრდა. | + | + | | | | | | |
| 5 | შრომითი ანაზღაურება ხელმძღვანელი | პროექტის ხელმძღვანელის ანაზღაურება. | 2500 | ხელმძღვანელის შრომითი ანაზღაურება გაწეული საქმიანობისათვის. | წახალისება, მოტივაცია, ეფექტიანობის ზრდა. | + | + | | | | | | |

„2024 წლის ივლის-დეკემბერში განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 01 ივლისის N01-18/188 ბრძანების

N4 დანართი

პროექტის ID: 110

2024 წლის ივლის-დეკემბერში განსახორციელებელი სტუდენტური პროექტი - **„შეიმეცნე საქართველო“**

(კულტურის მიმართულებით)

| | | | |
|---|---|---|---|
| განმცხადებელი | პროექტის ხელმძღვანელის/განმცხადებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი | **ნიკა საჯაია** (პ/ნ [redacted]29) | |
| | სტუდენტთა ჯგუფის/გაერთიანების სახელი (ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პროექტის შემთხვევაში) | [redacted] | |
| | განმცხადებლის ფაქტობრივი მისამართი | [redacted] | |
| | საკონტაქტო მობილურის ნომერი | [redacted] | |
| | საკონტაქტო ელექტრონული ფოსტა | [redacted] | |
| პროექტის შესახებ | პროექტის დასახელება (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად) | **„შეიმეცნე საქართველო“** | |
| | პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღები | დაწყების თარიღი | დასრულების თარიღი |
| | | **05/07/2024** | **15/12/2024** |
| | | **(რიცხვი/თვე/წელი)** | **(რიცხვი/თვე/წელი)** |
| | პროექტის მთლიანი ბიუჯეტი | **15000** | |
| | თანადაფინანსება | 0 | |
| | ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა | 15000 | |
| ხელმოწერა ( პროექტზე პასუხისმგებელი პირი/განმცხადებელი/ხელმძღვანელი) | | ნ.საჯაია | |
| თარიღი | | **26/06/2024** რიცხვი/თვე/წელი | |

## პროექტის აღწერა:

ა) პრობლემის განსაზღვრა:

ჩვენი გუნდი ვაცნობიერებთ, რომ დღეს-დღეობით სტუდენტებში არის ინფორმაციის სიმწირე საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ კუთხეების, რეგიონებისა და იქ არსებული ძეგლთა შესახებ, რომელიც საქართველოს კულტურის ერთ-ერთი უმთავრეს საგანძურს წარმოადგენს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმით უნივერსიტეტი უნდა ისწრაფოდეს სწავლა-სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციისკენ, მათ შორის ისეთ მიმართულებებში, როგორიც გახლავთ ისტორია (საქართველოს ისტორია).შეზღუდული კულტურული ცნობიერება,რომელიც მოიცავს ადათ-წესების, ტრადიციების, ენებისა და ღირებულებების გაგებას, რომლებიც განსხვავდება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. შეზღუდული კარიერის შესაძლებლობები, რომელიც არსებობს ისეთ სფეროებში, როგორიცაა ტურიზმი, სტუმართმოყვარეობა, საერთაშორისო ურთიერთობები და კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტი, საკუთარი ქვეყნის ტერიტორიების და კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა შეიძლება იყოს მომგებიანი. სტუდენტებში არსებობს სოციალური ინტეგრაციის სირთულე, რომელიც გამოიხატება საკუთარი ქვეყნის გეოგრაფიული და კულტურული მრავალფეროვნების გაგებაში, ეს პუნქტი გადამწყვეტია ეფექტური სოციალური ურთიერთქმედებისთვის. სტუდენტები, რომლებიც არ იცნობენ ამ ასპექტებს, შეიძლება რთული აღმოჩნდნენ სხვადასხვა რეგიონის ან კულტურული წარმომავლობის თანატოლებთან მიმართებაში, რამაც გამოიწვია სოციალური იზოლაცია ან გაუგებრობა. შესაბამისად სტუდენტებს შემეცნებითი-საგანმანათლებლო ტურებით შეუძლიათ ფიზიკურად მოინახულონ ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის ძეგლები საქართველოს ფარგლებს შიგნით, რაც მათ დაეხმარებათ ერთი მხრივ მეცნიერული მიმართულების განვითარებასა და სახელმწიფოებრივი აზროვნების გაზრდაში, ხოლო მეორე მხრივ ზემოთაღნიშნულ პრობლემების გადაჭრაში.

ბ) მიზანი:

ჩვენს პროექტს გააჩნია არაერთი მიზანი, მაგრამ პროექტის ძირითადი მოტივია სტუდენტებში გუნდური მუშაობის, დამღლელი სასწავლო პერიოდის შემდგომ მათი წახალისება, რათა საუნივერსიტეტო სივრცეში დაბრუნებულ სტუდენტს გააჩნდეს ამაღლებული მოტივაცია და მიზნები სამომავლო პროექტებისა და აქტივობების შესახებ, ამასთან, ჰქონდეთ უფრო მეტი სიღრმისეული ცოდნა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. ჩვენ შეგვიძლია ეს პროექტი ჩავთვალოთ ერთგვარ გამოწვევად, რომელიც გულისხმობს განათლების ხელშეწყობას, რომელიც მოიცავს ეროვნული გეოგრაფიის, კულტურული მრავალფეროვნების, ისტორიული კონტექსტის და საზოგადოების დინამიკის ყოვლისმომცველ შესწავლას. ქვეყნის შიგნით მოგზაურობის წახალისება, კულტურული გაცვლების ჩართვა და ამ თემების არაფორმალურ სასწავლო პროგრამაში ჩართვა დაეხმარება სტუდენტებს განუვითარონ ეროვნული იდენტობის უფრო ძლიერი გრძნობა, თანაგრძნობა კულტურული განსხვავებების მიმართ და მზადყოფნა, აქტიური მონაწილეობა მიიღონ თავიანთი ქვეყნის განვითარებისა და მემკვიდრეობის დაცვის მცდელობებში. ჩვენს პროექტს გააჩნია შემდეგი ძირეული მიზნები:

I. პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენს სტუდენტებში გაზარდოს ცნობიერება იმ ისტორიული ტერიტორიებისა და ძეგლების შესახებ, რომლებიც საქართველოს ისტორიისთვის განუყოფელი ნაწილი გახლავთ, ასევე იმ კულტურულ მემკვიდრეობაზე, როგორც მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ,ასევე არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე მიეწოდოთ ინფორმაცია, რომელიც მოიცავს ადგილზე ვიზიტით და შემეცნებით, ძეგლებზე ისეთი ინფორმაციების გაგებით, რომელიც მანამდე არ სმენოდათ, შეეხონ მათ რეალურ გარემოში, შეიქმნან გონებაში ვიზუალიზაცია იმისა, თუ როგორ გამოიყურებოდა ან როგორ გამოიყენებოდა ესა, თუ ის კულტურული მემკვიდრეობა კონკრეტულ დროში, რაც დროთა განმავლობაში დავიწყებას მიეცა.

II. ჩვენ ამ პროექტით გვსურს სტუდენტების აკადემიური გამოცდილების გაღრმავება საუნივერსიტეტო კედლებს გარეთ ექსპერიმენტული სწავლის შესაძლებლობის მიცემით, ეს შეიძლება მოიცავდეს ვიზიტებს სხვადასხვა ისტორიულ ობიექტებში, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს მიიღონ პრაქტიკული ცოდნა და შეხედულებები სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებით. საკუთარი ქვეყნის შიგნით მოგზაურობა ხელს უწყობს დამოუკიდებლობას, ადაპტირებას და პრობლემების გადაჭრის უნარებს, როდესაც სტუდენტები ნავიგაციას უწევენ უცნობ ადგილებში და სიტუაციებში.

III. საუნივერსიტეტო შემეცნებით გასვლებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ კულტურულ გაგებასა და გლობალურ პერსპექტივების .ასევე სტუდენტებს სთავაზობს უცხო ადგილების მონახულების ან სხვადასხვა კულტურასთან ურთიერთობის შანს, ,შეიმეცნონ ტრადიციბი, რომელიც კონკრეტული მხარის იდენტობას უსვამს ხაზს. ასეთ მოგზაურობებს შეუძლიათ გააძლიერონ მრავალფეროვნების დაფასება, გააფართოებს სტუდენტების კულტურულ ჰორიზონტს და განავითარებს მათი ინტერ კულტურული კომუნიკაციის უნარებს.

IV. გუნდის მნიშვნელობა და პიროვნული ზრდა: საუნივერსიტეტო მოგზაურებები ხშირად მოიცავს ჯგუფურ აქტივობებს გუნდურ პროექტებს ან გარე თავგადასავლებს, რომლებიც ხელს უწყობს თანამშრომლობას, გუნდურ მუშაობას და პიროვნულ ზრდას. ეს გამოცდილება სტუდენტებს დაეხმარება განავითარონ ლიდერობის უნარები, გააუმჯობესონ კომუნიკაციისა და პრობლემის გადაჭრის უნარები და განავითარონ თანატოლებს შორის მეგობრობის გრძნობა და რაც მთავარია იგრძნონ თავი ყველაზე მყუდროდ და თავისუფლად გარშემომყოფებთან ერთად. ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს ახალგაზრდების განვითარებასა და მათ სრულფასოვან პიროვნებებად ჩამოყალიბებას.

გ) ამოცანები:

ჩვენი ძირითადი ამოცანა გახლავთ საქართველოს ისტორიული ადგილებისა და ძეგლების დათვალიერება, საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში. ასევე ჩვენი ერთ-ერთი ამოცანაა წარმატებული და აქტიური სტუდენტების ჩართვა არაფორმალურ გარემოში და მოცემული გამოცდილების გაზიარება, რადგან მართალია ჩვენ ვიღებთ ძირეულ (თეორიულ) ინფორმაციას ჩვენი ისტორიული წარსულის შესახებ, მაგრამ გვიჭირს ამის პრაქტიკული/ფიზიკური აღქმა და გაგება. დასახული მიზნების შესრულებისთვის გუნდმა ზედმიწევნით გავწერეთ წინასწარ განსახორციელებელი გეგმა/აქტივობები.

დ) განხორციელების გზები:

გამომდინარე იქედან, რომ პროექტი საკმაოდ მასშტაბურია, ჩვენ წინასწარ განვსაზღვრეთ კონკრეტული ეტაპები, რომლებიც გაგვიმარტივებს პროექტის განხორციელებას.

თავდაპირველ ეტაპზე, სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის დახმარებით გამოვაცხადებთ სტუდენტების მიღებას, ძირითადი მონაწილეები მოცემული პროექტის იქნებიან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აქტიური სტუდენტები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა შემეცნებით-საგანმანათლებლო და სპორტულ აქტივობებში, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები, რომელთაც აქვთ განსაკუთრებული მიღწევა, სხვადასხვა აქტივობებში მნიშვნელოვანია, რომ ჩავრთოთ მსგავს აქტივობებში, რაც ხელს უწყობს მათ დაახლოებას უნივერსიტეტის სტუდენტებთან, ამასთანავე მათი პრაქტიკის გაზიარება სტუდენტებისთვის არის საკმაოდ მნიშვნელოვანი, მაგრამ აპლიკანტები შეირჩევიან, თავიანთი სამოტივაციო წერილით და აკადემიური მოსწრების შესაბამისად.

თითოეული დღე იქნება სავსე სხვადასხვა გასართობი/შემეცნებით აქტივობებით, რომელიც გაუხალისებს სტუდენტებს გასვლით შეხვედრებს.. ჩვენ დაგეგმილი გვაქვს ჩავატაროთ მოკლე ინტელექტუალური თამაშები, მათ შორის: რა? სად? როდის? და წამახალისებელი აქტივობა მელომანი, სპორტული აქტივობა ბადმინტონის, ხელბურთის და ფეხბურთის სახით.

საორგანიზაციო გუნდი:

- ნიკა საჯაია
- რუთი მალაყმაძე
- დალილა მიქელაძე
- ნინი შავლიძე
- ლოლა ფუტკარაძე
- თათია მაისურაძე
- ჯანრი ზერიძე

ქვემოთ შეგიძლიათ იხილოთ წინასწარ განსაზღვრული, გეგმა და გრაფიკი ჩვენი განსახორციელებელი პროექტებისა

## სვანეთი 2 ღამე / 3 დღე

**დღე 1**

- ბათუმიდან გამგზავრება
  - ზუგდიდის დადიანების სასახლე
- ენგურჰესის ნახვა
- განთავსება მესტიაში

**დღე 2**

შემდეგი ტურისტული ობიექტების მონახულება:

- სიყვარულის კოშკი;
- უშგული;
- უშგულის ეთნოგრაფიული მუზეუმი;
- თამარ მეფის კოშკები.
- ღამისთევა მესტიაში

**დღე 3**

შემდეგი ტურისტული ობიექტების მონახულება:

- მესტიის ეთნოგრაფიული მუზეუმი;
- მესტიის საკათედრო ტაძარი;
- მარგიანების / ხერგიანის მუზეუმი.
- დაბრუნება-ბათუმში

პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი 2024 წელს

(შესრულების გეგმა)

| | საგანმანათლებლო/კულტურის/სპორტის მიმართულებით პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| N | პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
| | **ეტაპი I** | + | + | + | + | + | + |
| 1 | სტუდენტების შერჩევა | | | | | | |
| 2 | სტუდენტების დაჯგუფება | | | | | | |
| | **ეტაპი II - დღე 1** | + | + | + | + | + | + |
| 1 | ბათუმიდან გამგზავრება-მესტიის მიმართულებით | + | + | | | | |
| 2 | ვიზიტი ზუგდიდის დადიანების სასახლეში | + | + | | | | |
| 3 | ენგურჰესის მონახულება | + | + | | | | |
| 4 | განთავსება მესტიაში | + | + | | | | |
| 5 | | | | | | | |
| | **ეტაპი III - დღე 2** | + | + | + | + | + | + |
| 1 | შემდეგი ტურისტული ობიექტების მონახულება: | | | | | | |
| 2 | სიყვარულის კოშკი | + | + | | | | |
| 3 | უშგულის მონახულება | + | + | | | | |
| 4 | უშგულის ეთნოგრაფიული მუზეუმის დათვალიერება | + | + | | | | |
| 5 | თამარ მეფის კოშკების ნახვა | + | + | | | | |
| 6 | ღმისთევა მესტიაში | + | + | | | | |
| | **ეტაპი IV - დღე 3** | + | + | + | + | + | + |
| 1 | მესტიის ეთნოგრაფიული მუზეუმი; | + | + | | | | |
| 2 | მესტიის საკათედრო ტაძარი; | + | + | | | | |
| 3 | მარგიანების / ხერგიანის მუზეუმი. | + | + | | | | |
| 4 | დაბრუნება-ბათუმში | + | + | | | | |

მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები:

ჩვენი პროექტის ძირითადი ბენეფიციარები გახლავთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები.

მოსალოდნელი შედეგები:

სტუდენტები გაიღრმავებენ ცოდნას ჩვენი ქვეყნის წარსულის და კულტურული, როგორც მატერიალური, ისე არაა მატერიალური ძეგლების, ასევე ქართული მრავალფეროვანი ტრადიციების შესახებ, შესაბამისად მეტი ისტორიული ადგილის ხილვით გაიფართოვეს თვალსაწიერი კულტურის მხრივ, სტუდენტები დაუმეგობრდნენ ერთმანეთს და ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს მათ გუნდურ მუშაობასა და პიროვნულ ზრდას. საბოლოო ჯამში ჩვენს პროექტში ჩაერთვება 100-ზე მეტი სტუდენტი. ამ გამოცდილებამ შეუძლია სტუდენტებს განუვითაროს ლიდერობის უნარები გააუმჯობესონ კომუნიკაციისა და პრობლემის გადაჭრის უნარები, ასევე გააუმჯობესოს თანატოლებს შორის მეგობრობის გრძნობა.ამ მნიიშვნელოვან გამოცდილებას, რომელსაც პროექტის მეშვეობით იძენენ სტუდენტები,შეუძლია ხელი შეუწყოს საკუთარი ქვეყნის კულტურული იდენტობისადმი სიამაყისა და დაფასების გრძნობას.

მონიტორინგი:

პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, როგორც ვიცით პროექტი გრძელდება 3 დღეს, რომელიც განხორციელდება ჩვენს უნივერსიტეტში. პროექტს მონიტორინგს გაუწევს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი, რომელთაც ჩვენ მივაწვდით საბოლოო ანგარიშს ფოტომასალის სახით.

შეფასება:

პროექტის ფარგლებში განხორციელებული ყოველი აქტივობა იყო განსაზღვრული სტუდენტებისთვის, რომელმაც მნიშვნელოვნად განავითარა სტუდენტები სოციალური და კულტურული თვალსაზრისით, ამავდროულად ამ პროექტით სტუდენტებს მიეცათ საშუალება აემაღლებინათ ლიდერული და ჯგუფური უნარ-ჩვევები.

| | პროექტის დასახელება - **„შეიმეცნე საქართველო“** | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **პროექტის მოკლე აღწერა – ლაშქრობების მოწყობის გზით, ისტორიულ კულტურული ძეგლების პოპულარიზაცია** | | | | | | | | | | | |
| N | განსახორციელებელი აქტივობის/ღონისძიების/ ხარჯის დასახელება | გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება | თანხა | მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი | ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად | | | | | | |
| | | | | | | ივლ | აგვ | სექ | ოქტ | ნოე | დეკ | |
| 1 | სასტუმრო/დაბინავება | 40 ადამიანის დაბინავება | 3500 | ახალგაზრდები უზრუნველყოფილი იქნებიან სასტუმროთი | სტუდენტთა კმაყოფილება | + | + | + | + | + | + | |
| 2 | ტრანსპორტირება | 40 ადამიანის მგზავრობა | 3500 | იქნებიან სტუდენტები უზრუნველყოფილი შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებით. | სტუდენტთა უსაფრთხო გადაადგილება | + | + | + | + | + | + | |
| 3 | კვება | კვება 40 ადამიანზე | 5500 | იქნებიან სტუდენტები უზრუნველყოფილი შესაბამისი საკვები პროდუქტებით. | სტუდენტთა კმაყოფილება | + | + | + | + | + | + | |
| 4 | განსაზღვრული მარშრუტის ფარგლებში ღირსშესანიშნავი ადგილების მონახულების საფასური | 40 ადამიანის ბილეთის ფასი | 300 | სტუდენტები წინასწარ განსაზღვრული მარშუტის შესაბამიად იქნებიან უზრუნველყოფილი შესასვლელი ბილეთებით | სტუდენტთა კმაყოფილება | + | + | + | + | + | + | |
| 5 | შრომის ანაზღაურება | | 1200 | სტუდენტთა კმაყოფილება | სტუდენტთა კმაყოფილება | + | + | + | + | + | + | |
| 6 | გიდის ანაზღაურება | | 1000 | პროექტის ფარგლებში მნიშვნელოვანი ღირსშესანიშნაობებზე გაცნობა | გიდი იქნება მოტივირებული | + | + | + | + | + | + | |

„2024 წლის ივლის-დეკემბერში განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 01 ივლისის N01-18/188 ბრძანების

N5 დანართი

პროექტის ID: 111

2024 წლის ივლის-დეკემბერში განსახორციელებელი სტუდენტური პროექტი - **„ტაოს ბილიკები - მოგზაურობა საზღვრებს მიღმა"**

(კულტურის მიმართულებით)

| | | | |
|---|---|---|---|
| განმცხადებელი | პროექტის ხელმძღვანელის/განმცხადებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი | **ჯანრი ბერიძე** (პ/ნ [redacted] **ლიზი ბაბუჩაიშვილი** (პ/[redacted]) | |
| | სტუდენტთა ჯგუფის/გაერთიანების სახელი (ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პროექტის შემთხვევაში) | [redacted] | |
| | განმცხადებლის ფაქტობრივი მისამართი | [redacted] | |
| | საკონტაქტო მობილურის ნომერი | [redacted] | |
| | საკონტაქტო ელექტრონული ფოსტა | [redacted] | |
| პროექტის შესახებ | პროექტის დასახელება (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად) | **„ტაოს ბილიკები- მოგზაურობა საზღვრებს მიღმა"** | |
| | პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღები | დაწყების თარიღი | დასრულების თარიღი |
| | | 05/07/2024 | 15/12/2024 |
| | | (რიცხვი/თვე/წელი) | (რიცხვი/თვე/წელი) |
| | პროექტის მთლიანი ბიუჯეტი | **15000** | |
| | თანადაფინანსება | 0 | |
| | ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა | 15000 | |
| | ხელმოწერა ( პროექტზე პასუხისმგებელი პირი/განმცხადებელი/ხელმძღვანელი) | ჯ.ბერიძე | |
| | თარიღი | 26/06/2024 | |
| | | რიცხვი/თვე/წელი | |

პროექტის აღწერა:

ა) პრობლემის განსაზღვრა:

დღესდღეობით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებში არის ინფორმაციის სიმწირე საქართველოს წარსულის, ისტორიისა და ღირშესანიშნაობების (განსაკუთრებით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების) შესახებ, რომელიც საქართველოს კულტურის ერთ-ერთი მთავარი ძეგლები გახლავთ და ამჟამად, სახელმწიფოს არსებული საზღვრებს გარეთ არის დარჩენილი.

ჩვენ კარგად ვიცით ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა, სადაც განსაზღვრულია ზედმიწევნით, რომ უნივერსიტეტი უნდა ისწრაფოდეს სწავლა-სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციისკენ, მათ შორის ისეთ მიმართულებებში, როგორიც გახლავთ ისტორია (საქართველოს ისტორია), შესაბამისად სტუდენტებს შემეცნებითი-საგანმანათლებლო ტურებით შეუძლიათ ფიზიკურად მოინახულონ ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის ძეგლები საქართველოს ფარგლებს გარეთ, რაც მათ დაეხმარებათ ერთი მხრივ მეცნიერული მიმართულების განვითარებაში, ხოლო მეორე მხრივ სახელმწიფოებრივი აზროვნების გაზრდაში.

მიზანი:

პროექტის ფარგლებში ჩვენ დავისახეთ კონკრეტული მიზნები, რომლის გადაჭრაც გვსურს, მათ შორის:

I. აკადემიური გამოცდილების გაღრმავება საუნივერსიტეტო კედლებს გარეთ ექსპერიმენტული სწავლის შესაძლებლობის მიცემით, ეს შეიძლება მოიცავდეს ვიზიტებს სხვადასხვა ისტორიულ ობიექტებში რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს მიიღონ პრაქტიკული ცოდნა და შეხედულებები სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებით.

II. ისტორიული ტერიტორიების კვლევა და შერჩევა: რაც გულისხმობს ქვეყნის საზღვრებს მიღმა მდებარე ისტორიული ობიექტების კვლევას, ეს ამოცანა გულისხმობს თითოეული ადგილის ისტორიული, კულტურული და გეოგრაფიული კონტექსტის საფუძვლიან გაგებას. რაც აამაღლებს ცნობიერებას იმ ტერიტორიების შესახებ რომელიც სამწუხაროდ თანამედროვე საქართველოს გარეთ დარჩა.

III. გუნდის მნიშვნელობა და პიროვნული ზრდა: საუნივერსიტეტო მოგზაურებები ხშირად მოიცავს ჯგუფურ აქტივობებს გუნდურ პროექტებს ან გარე თავგადასავლებს, რომლებიც ხელს უწყობს თანამშრომლობას, გუნდურ მუშაობას და პიროვნულ ზრდას. ეს გამოცდილება სტუდენტებს დაეხმარება განავითარონ ლიდერობის უნარები, გააუმჯობესონ კომუნიკაციისა და პრობლემის გადაჭრის უნარები და განავითარონ თანატოლებს შორის მეგობრობის გრძნობა.

IV. კულტურული გაცვლა: რეგიონის შესწავლა, რომლებიც ოდესღაც ჩვენი ქვეყნის ნაწილი იყო, მაგრამ ახლა ცალკე ერთეულებად იქცა, დაეხმარება სტუდენტებს გაეცნონ სხვადასხვა კულტურას, ენებს, ტრადიციებსა და ცხოვრების წესებს. ეს ხელს შეუწყობს კულტურათაშორისი გაგებას და დაფასებას. ასევე სტუდენტებს სთავაზობს უცხო ადგილების მონახულების ან სხვადასხვა კულტურასთან ურთიერთობის შანს, ასეთ მოგზაურობებს შეუძლიათ გააძლიერონ მრავალფეროვნების დაფასება, გააფართოებს სტუდენტების კულტურულ ჰორიზონტს და განავითარებს მათი ინტერ კულტურული კომუნიკაციის უნარებს.

V. საგანმანათლებლო კვლევა: სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ მოინახულონ ეს ადგილები აკადემიური კვლევითი პროექტების, საველე კვლევების ან კულტურული გაცვლის პროგრამების მიზნითაც, რათა გაიღრმავონ ცოდნა კონკრეტულ ისტორიულ ან კულტურულ ადგილებზე.

გ) ამოცანები:

ჩვენი ძირითადი ამოცანა გახლავთ საქართველოს ისტორიული ძეგლების დათვალიერება, რომელიც უკვე აღარ არის საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში. ასევე ჩვენი ერთ-ერთი ამოცანაა წარმატებული და აქტიური სტუდენტების ჩართვა არაფორმალურ გარემოში და მოცემული გამოცდილების გაზიარება, რადგან მართალია ჩვენ ვიღებთ ძირეულ (თეორიულ) ინფორმაციას ჩვენი ისტორიული წარსულის შესახებ, მაგრამ გვიჭირს ამის პრაქტიკული/ფიზიკური აღქმა და გაგება. დასახული მიზნების შესრულებისთვის გუნდმა ზედმიწევნით გავწერეთ წინასწარ განსახორციელებელი გეგმა/აქტივობები.

დ) განხორციელების გზები:

პროექტის ამოცანებიდან გამომდინარე, თავდაპირველ ეტაპზე, ჩვენ გამოვაცხადებთ სტუდენტების მიღებას, ძირითადი მონაწილეები მოცემული პროექტის იქნებიან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აქტიური სტუდენტები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა შემეცნებით-საგანმანათლებლო და სპორტულ აქტივობებში, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები, რომელთაც აქვთ განსაკუთრებული მიღწევა, სხვადასხვა აქტივობებში მნიშვნელოვანია, რომ ჩავრთოთ მსგავს აქტივობებში, რაც ხელს უწყობს მათ დაახლოებას უნივერსიტეტის სტუდენტებთან, ამასთანავე მათი პრაქტიკის გაზიარება სტუდენტებისთვის არის საკმაოდ მნიშვნელოვანი. პროექტის ფარგლებში ჩვენ დაგეგმილი გვაქვს ჩავატაროთ მოკლე ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის? და წამახალისებელი აქტივობა მელომანი, სპორტული აქტივობა ბადმინტონის, ხელბურთის და ფეხბურთის სახით.

ქვემოთ შეგიძლიათ იხილოთ წინასწარ განსაზღვრული, გეგმა და გრაფიკი ჩვენი განსახორციელებელი პროექტებისა:

ტაო-კლარჯეთი

დღე 1

- გასვლა ბათუმიდან ტაო-კლარჯეთის მიმართულებით
- საბაჟო პროცედურები
- დოლისყანა
- ტბეთი
- ხანძთა
- სასტუმროში დაბინავება / ვახშამი

დღე 2

- პარხალი

- ოთხთა
- იშხანი
- ოლქისის ციხე
- სასტუმროში დაბინავება / ვახშამი

დღე 3

- ხახული
- ოშკი
- თორთუმის ჩანჩქერი
- დაბრუნება ბათუმის მიმართულებით

**საორგანიზაციო გუნდი:**

- ჯანრი ბერიძე
- სალომე გოგიტიძე
- ლიზი ბაბუჩაიშვილი
- ნიკა დარჩიძე
- ლუკა თავართქილაძე
- ანა ფუტკარაძე
- თეა დეკანაძე

პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი 2024 წელს

(შესრულების გეგმა)

| | საგანმანათლებლო/კულტურის/სპორტის მიმართულებით პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| N | პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები | ივილისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
| | ეტაპი I | + | + | + | + | + | + |
| 1 | სტუდენტების შერჩევა | | | | | | |
| 2 | სტუდენტების დაჯგუფება | | | | | | |
| 3 | | | | | | | |
| | დღე 1 | + | + | + | + | + | + |
| 1 | გასვლა ბათუმიდან ტაო-კლარჯეთის მიმართულებით | | | | | | |
| 2 | საბაჟო პროცედურები | | | | | | |
| 3 | დოლისყანა | | | | | | |
| 4 | ტბეთი | | | | | | |
| 5 | ხანძთა | | | | | | |
| 6 | სასტუმროში დაბინავება / ვახშამი | | | | | | |
| | დღე 2 | + | + | + | + | + | + |
| 1 | პარხალი | | | | | | |
| 2 | ოთხთა | | | | | | |
| 3 | იშხანი | | | | | | |
| 4 | ოლქისის ციხე | | | | | | |
| 5 | სასტუმროში დაბინავება / ვახშამი | | | | | | |
| | დღე 3 | + | + | + | + | + | + |
| 1 | ხახული | | | | | | |
| 2 | ოშკი | | | | | | |
| 3 | თორთუმის ჩანჩქერი | | | | | | |
| 4 | დაბრუნება ბათუმის მიმართულებით | | | | | | |

**მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები:** ჩვენი პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენი პროექტის ძირითადი ბენეფიციარი გახლავთ ბსუ-ს სტუდენტები, აქვე უნდა ითქვას, რომ სტუდენტთა შერჩევის დროს გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა სამეცნიერო, საგანმანათლებლო კულტურულ თუ სპორტულ აქტივობებში წარმატებების მქონე სტუდენტები. შერჩევის დროს აგრეთვე ჩართული იქნებიან უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლები და აკადემიური პირები (სურვილის შემთხვევაში)!

**მოსალოდნელი შედეგები:** სტუდენტები გაიღრმავებენ ცოდნას ჩვენი ქვეყნის წარსულის და კულტურული ძეგლების შესახებ, შესაბამისად მეტი ისტორიული ადგილის ხილვით გაიფართოვეს თვალსაწიერი კულტურის მხრივ, სტუდენტები დაუმეგობრდნენ ერთმანეთს და ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს მათ გუნდურ მუშაობასა და პიროვნულ ზრდას. საბოლოო ჯამში ჩვენს პროექტში ჩაერთვება 50-მდე სტუდენტი, რომელთაც მიეცემათ შესაძლებლობა იყვნენ ჩვენი პროექტის წევრი. ამ გამოცდილებამ შეუძლია სტუდენტებს განუვითაროს ლიდერობის უნარები გააუმჯობესონ კომუნიკაციისა და პრობლემის გადაჭრის უნარები, ასევე გააუმჯობესოს თანატოლებს შორის მეგობრობის გრძნობა.

**მონიტორინგი:** თითოეულ აქტივობებს აღვბეჭდავთ ფოტო-ვიდეოს სახით და მასალას გადავუგზავნით სტუდენტთა კარიერული განვითარების დეპარტამენტს. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელების პროცესში სტუდენტებს მონიტორინგს გაუწევს თავად პროექტის ავტორები.

**შეფასება:** პროექტის ფარგლებში განხორციელებული ყოველი აქტივობა იქნება განსაზღვრული სტუდენტებისთვის, რომელიც მნიშვნელოვნად მოახდენს სტუდენტების განვითარებას სოციალური და კულტურული თვალსაზრისით, ამავდროულად ამ პროექტმა სტუდენტებს მისცემს საშუალებას აამაღლონ ლიდერული და ჯგუფური უნარ-ჩვევები. აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ ეს პროექტი მოგვცემს იმის საშუალება რომ ვნახოთ საქართველოს საზღვრებს გარეთ დარჩენილი ტერიტორიები. ტაო კლარჯეთში უამრავი უძველესი ძეგლია არის შემორჩენილი. ამათგან აღსანიშნავია: ხანძთა, ოპიზა, ოთხთა ეკლესია, ახიზის ციხე, არტანუჯი, დოლისყანა, სათლე, ტბეთი. ქაჯთა ციხე, ოლთისი, ბანა, პარხალი, ახიზის ციხე, შატბერდი, იშხანი, ოშკი, ხახული.

| | პროექტის დასახელება - **„ტაოს ბილიკები - მოგზაურობა საზღვრებს მიღმა“** | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **პროექტის მოკლე აღწერა -** | | | | | | | | | | | |
| N | განსახორციელებელი აქტივობის/ღონისძიების/ ხარჯის დასახელება | გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება | თანხა | მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი | ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად | | | | | | |
| | | | | | | ივლ | აგვ | სექ | ოქტ | ნოე | დეკ | |
| 1 | სასტუმრო/დაბინავება | არანაკლებ 30 და არაუმეტეს 50 სტუდენტის განთავსება ტაო-კლარჯეთში მდებარე სასტუმროში | 7500 | ახალგაზრდები უზრუნველყოფილი იქნებიან სასტუმრო | პროექტში ჩართული სტუდენტები უზრუნველყოფილი იყვნენ შესაბამისი საჭიროებებით | + | + | + | + | + | + | |
| 2 | ტრანსპორტირება | არანაკლებ 30 და არაუმეტეს 50 სტუდენტის ტრანსპორტირება ტაო-კლარჯეთში | 4000 | იქნებიან სტუდენტები უზრუნველყოფილი შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებით. | იყვნენ სტუდენტები უზრუნველყოფილი შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებით | + | + | + | + | + | + | |
| 3 | კვება | არანაკლებ 30 და არაუმეტეს 50 სტუდენტის კვების ხარჯი | 3000 | ახალგაზრდები იქნებიან კვებით უზრუნველყოფილნი | იყვნენ სტუდენტები უზრუნველყოფილი საკვებით | + | + | + | + | + | + | |
| 4 | შრომის ანაზღაურება | პროექტის ავტორის შრომის ანაზღაურება | 500 | | | + | + | + | + | + | + | |

„2024 წლის ივლის-დეკემბერში განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“

**ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 01 ივლისის N01-18/188 ბრძანების**

**N6 დანართი**

პროექტის ID: 113

2024 წლის ივლის-დეკემბერში განსახორციელებელი სტუდენტური პროექტი - **„AIRSOFT“**

(სპორტის მიმართულებით)

| | | | |
|---|---|---|---|
| განმცხადებელი | პროექტის ხელმძღვანელის/განმცხადებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი | **საბა გოგიტიძე** (პ/ნ | |
| | სტუდენტთა ჯგუფის/გაერთიანების სახელი (ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პროექტის შემთხვევაში) | რუსთაველის კლუბი | |
| | განმცხადებლის ფაქტობრივი მისამართი | | |
| | საკონტაქტო მობილურის ნომერი | 5 | |
| | საკონტაქტო ელექტრონული ფოსტა | | |
| პროექტის შესახებ | პროექტის დასახელება (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად) | „AIRSOFT“ | |
| | პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღები | დაწყების თარიღი | დასრულების თარიღი |
| | | **05/07/2024** | **13/12/2024** |
| | | **(რიცხვი/თვე/წელი)** | **(რიცხვი/თვე/წელი)** |
| | პროექტის მთლიანი ბიუჯეტი | **5000** | |
| | თანადაფინანსება | | |
| | ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა | 5000 | |
| | ხელმოწერა ( პროექტზე პასუხისმგებელი პირი/განმცხადებელი/ხელმძღვანელი) | ს. გოგიტიძე | |
| | თარიღი | **26/06/2024** რიცხვი/თვე/წელი | |

პროექტის აღწერა:

ა) პრობლემის განსაზღვრა:

მოგეხსენებათ, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში აქტიურად ხორციელდება სხვადასხვა სპორტული სახის აქტივობები რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების გააქტიურებას და გამოცდილების დაგროვებას სხვადასხვა კუთხით თუმცა პრობლემაა ისაა, რომ პროექტების უმეტესი ნაწილი იგეგმება/ ხორციელდება არა უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ არამედ საუნივერსიტეტის სივრცეში, რომელიც ზღუდავს ახალი იდეების და პერსპექტივების შემოდინებას. ასევე, სტუდენტები,რომლებიც დაკავებული არიან სასწავლო პროცესის რუტინით არაქვთ შესაძლებლობა შეხვდნენ რეალურ გამოწვევებს და სიტუაციებს აკადემიური გარემოსგან განსხვავებულ სივრცეში. ამიტომაც საუნივერსიტეტო სივრცეში მოქცეული აქტივობები არასაინტერსო ხდება სტუდენტებისთვის რაც იწვევს პროექტებში აქტიურ მონაწილების ნაკლებობას რომელიც უარყოფითად აისახება სტუდენტურ ცხოვრებაზე. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტში პრბლემას ქმნის სხვა ფაქტორებიც:

- კულტურული მრავალფეროვნების დეფიციტი: უნივერსიტეტის გარეთ პროექტები საშუალებას აძლევს სტუდენტებს შეხვდნენ და იმუშაონ განსხვავებული წარმომავლობის ადამიანებთან.
- სპორტული უნარების განვითარების შეზღუდვა: რეალურ გარემოში პროექტების განხორციელება ავითარებს ისეთ უნარებს, რომლებიც შეიძლება ვერ განვითარდეს მხოლოდ საკლასო ოთახში.
- დისციპლინირებული თანამშრომლობის ნაკლებობა: გარე პროექტები ხშირად მოითხოვს სხვადასხვა დისციპლინის ცოდნის გაერთიანებას, რაც ხელს უწყობს კომპლექსური აზროვნების განვითარებას.
- ადაპტაციის უნარების შეზღუდული განვითარება: რეალურ გარემოში მუშაობა მოითხოვს სწრაფ ადაპტაციას ცვალებად სიტუაციებთან, რაც მნიშვნელოვანია.
- რეალური სამყაროს გამოწვევების გაცნობიერება:

ბ) მიზანი:

უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე ჩვენ კარგად ვიცით რომ უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს შემოქმედებითი, კულტურული და სპორტული კლუბების განვითარების ხელშეწყობა სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და პროფესორთა თანამშრომლობით, ერთობლივი საგანმანათლებლო და შემოქმედებითი პროექტების განხორციელების გზით, სწორედ ჩვენ დავისახეთ მიზნათ საუნივერსიტეტო პროექტების დაფინანსების ხელშეწყობით უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ განვახორციელოთ ისეთი აქტივობა როგორიცაა Airsoft რომელიც გულისხმობს იმერსიულ გამოცდილებას სტრატეგიულ გუნდზე დაფუძნებული საბრძოლო სცენარების საშუალებით, რეალისტური აეროდრომების იარაღისა და აღჭურვილობის გამოყენებით. რომელიც ისახავს მიზნად თამაშის ღონისძიების ორგანიზებას და განხორციელებას, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილეებს განსაცვიფრებელ და სასიამოვნო გამოცდილებას. თამაში მოიცავს სტრატეგიულ გუნდზე დაფუძნებულ საბრძოლო სცენარებს დანიშნულ გარე ადგილას, უსაფრთხოების პროტოკოლებისა და რეგულაციების დაცვით.

გ) ამოცანები:

პროექტის ამოცანა გახლავთ უნივერსიტეტის თანხობით განვახორციელოთ ღია სივრცეში Airsoft-ი რომლისთვისაც საჭიროა პროექტისთვის შესაბამისი ადგილის მოძიება და ორგანიზება, აღჭურვილობის მომზადება, სტუდენტების დაინტერესება, ორგანიზატორების გადამზადება და თამაშის ერთობლივ წესების კრებულის შექმნას უსაფრთხოების პროტოკოლებისა და რეგულაციების მკაცრი დაცვით. ეს ყოველივე კი უზრუნევლყოფს ამაღელვებელი და უსაფრთხო გარე ღონისძიების ორგანიზებას სხვადასხვა დონის უნარების მონაწილეებისთვის დასამახსოვრებელი და სასიამოვნო დროის გასატარებლად, რომელიც შეუწობს სტუდენტების გააქტიურებას, მოტივირებას, გუნდური მუშაობის სპეციფიკის დახვეწას და შესაბამისი პროექტების დაორგანიზებას.

დ) განხორციელების გზები:

**ტურნირის სტრუქტურა** - გუნდის ფორმირება : თითოეულ გუნდში იქნება 4 მოთამაშე

**ოლიმპიური სისტემის ფორმატი** - ოლიმპიური სისტემა მოიცავს რაუნდების სერიას, სადაც გუნდები ერთმანეთს ეჯიბრებიან, გამარჯვებულები გადადიან მომდევნო რაუნდებში, სანამ საბოლოო გამარჯვებული გამოვლინდება. მაგალითად:

1. **საწყისი მატჩები** :
   - დაიწყეთ მეოთხედფინალური მატჩებით (გუნდი A vs გუნდი B და გუნდი C vs გუნდი D).
   - ყოველი მატჩის გამარჯვებულები გადიან ნახევარფინალში.
2. **ნახევარფინალები** :
   - ჩაატარეთ ნახევარფინალური მატჩები (A vs Winner of B vs Winner of C vs D).
   - ნახევარფინალის გამარჯვებულები ფინალურ მატჩში გადადიან.
3. **ფინალური მატჩი** :
   - ფინალურ მატჩში დარჩენილი ორი გუნდი იბრძვის საერთო გამარჯვებულის გამოსავლენად.

**თამაშის დინამიკა:**

1. **მსაჯი** : მსაჯები მთელ მოედანზე იქნებიან განლაგებული და შეეცდებიან თამაშის მსვლელობის გაკონტროლებას

   თამაშის ხანგრძლივობა - მატჩები, როგორც წესი, გრძელდება 10-15 წუთი, რაც დამოკიდებულია მოედნის ზომაზე და მოთამაშეთა რაოდენობაზე.

საორგანიზაციო გუნდი:

- საბა გოგიტიძე
- ლიზი ხალვაში
- გიორგი ბრუნჯაძე
- ემზარ ჭელიძე
- ლაშა თავდგირიძე
- მეგი ცეცხლაძე
- ჯანრი ზერიძე
- ირაკლი კეშელავა

| | საგანმანათლებლო/კულტურის/სპორტის მიმართულებით<br><br>პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი 2024 წელს | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **N** | პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები | **ივლისი** | **აგვისტო** | **სექტემბერი** | **ოქტომბერი** | **ნოემბერი** | **დეკემბერი** |
| | ეტაპი I | + | + | + | + | + | + |
| 1 | სარეგისტრაციო ფორმის განთავსება | | | | | | |
| 2 | სტუდენტთა გადახარისხება | | | | | | |
| | **ეტაპი II** | + | + | + | + | + | + |
| 1 | პირველი თამაში | | | | | | |
| 2 | მეორე თამაში | | | | | | |
| 3 | მესამე თამაში | | | | | | |
| | **ეტაპი III** | + | + | + | + | + | + |
| 1 | დაჯილდოება | | | | | | |

მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები:

შეხვედრის ძირითადი ბენეფიციარები იქნებიან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის როგორც ადგილობრივი ასევე უცხოელი სტუდენტები.

მოსალოდნელი შედეგები:

მოგეხსენებათ, რომ იმიტირებული საბრძოლო სცენების მეშვეობით მონაწილეები გაიუმჯობესებენ გუნდურ მუშაობას, ლიდერულ უნარ-ჩვევებს, გაიძლიერებენ სპორტულ უნარებს და შექმნიან მეგობრულ გარემოს, სტრესულ სიტუაციებში, წესების და რეკომენდაციების დაცვით, რაც მათ საშუალებას მისცემს გამოხატონ თავიანთი იდეები და პერსპექტივები თამაშის პროცესში და გაუზიარონ ჯგუფის წევრებს. ასევე, შეისწავლიან აღჭურვილობებთან მუშაობას და მოვლას, რაც განავითარებს სტუდენტების ტექნიკური შესაძლებგლობებს. ეს ყოველივე კი უზრუნველყოფს ამაღელვებელ და ამავდროულად სასიამოვნო აქტივობას, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტების აკადემიურ გარემოს სტრესისგან გათავისუფლებას.

**მონიტორინგი:** პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, მონიტორინგს გაუწევს სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი რომელთაც მივაწვდით პროექტის ყველა ეტაპის ფოტოსა და ვიდეო მასალას

**შეფასება:** ჩვენი გუნდის პროექტი გააერთიანებს სხვადსხვა აზრის თუ შეხედულებების ახალგაზრდებს ასევე იმ უცხოელ სტუდენტებს რომელებიც უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამით სარგებლობენ, რაც საფუძველია საერთო ენის, გუნდური მუშაობის, თანამშრომლობის და კომუნიკაციის დასამყარებლად. ხოლო, უკუკავშირს, რომელსაც მიიღებენ თამაშის დასასრულს მონაწილეები განავითარებს სტუდენტების გამოცდილებას, უნარებს და საუნივერსიტეტო პროექტებში ჩართულობას.

პროექტის დასახელება - **„AIRSOFT“**

**პროექტის მოკლე აღწერა - სპორტულ საგანმანათლებლო პროექტი, რომლის მიზანია სტუდენტებში სპორტულ/შემეცნებითი კუთხის პოპულარიზაცია**

| N | განსახორციელებელი აქტივობის/ღონისძიების/ ხარჯის დასახელება | გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება | თანხა | მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი | ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ივლ | აგვ | სექ | ოქტ | ნოე | დეკ | |
| 1 | აირსოფტის სათამაშო სივრცის დაქირავება (აღჭურვილი ინვენტარით) | აირსოფტისთვის საჭირო საბრძოლო მოედნით მომსახურება: საბრძოლო მოედნის მოწყობა ხელოვნური ბარიერებით(2 დღე), ჩაფხუტი, კომბინიზონი, დამცავი ჟილეტი, იარაღი და ტყვიები (თითოეული მოთამაშისათვის) | 3500 | | | + | + | + | + | + | + | |
| 2 | პრიზი | 250 / 150 / 100 | 500 | | | + | + | + | + | + | + | |
| 3 | შრომის ანაზღაურება | პროექტის ავტორის შრომის ანაზღაურება | 1000 | | | + | + | + | + | + | + | |

„2024 წლის ივლის-დეკემბერში განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 01 ივლისის N 01-18/188 ბრძანების

N7 დანართი

პროექტის ID: 114

2024 წლის ივლის-დეკემბერში განსახორციელებელი სტუდენტური პროექტი - „CITY GAME“

(სპორტის მიმართულებით)

| | | | |
|---|---|---|---|
| განმცხადებელი | პროექტის ხელმძღვანელის/განმცხადებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი | სალომე ბერიძე (პ/ნ | |
| | სტუდენტთა ჯგუფის/გაერთიანების სახელი (ჯგუფის მიერ წარმოდგენელი პროექტის შემთხვევაში) | | |
| | განმცხადებლის ფაქტობრივი მისამართი | | |
| | საკონტაქტო მობილურის ნომერი | | |
| | საკონტაქტო ელექტრონული ფოსტა | | |
| პროექტის შესახებ | პროექტის დასახელება (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად) | „CITY GAME“ | |
| | პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღები | დაწყების/თარიღი<br>05/07/2024<br>(რიცხვი/თვე/წელი) | დასრულების თარიღი<br>13 /12 /2024<br>(რიცხვი/თვე/წელი) |
| | პროექტის მთლიანი ბიუჯეტი | 5000 | |
| | თანადაფინანსება | 0 | |
| | ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა | 5000 | |

ხელმოწერა
( პროექტზე პასუხისმგებელი პირი/განმცხადებელი/ხელმძღვანელი)

ს. ბერიძე

26/06/2024

თარიღი

რიცხვი/თვე/წელი

პროექტის აღწერა:

ა) პრობლემის განსაზღვრა:

სითი-გეიმი არის ინტელექტუალური და სპორტული შეჯიბრება, სადაც გუნდები ცდილობენ მითითებული დავალებების სწრაფად შესრულებას. უნივერსიტეტში არის საჭიროება იმისა, რომ განხორციელდეს ისეთი პროექტი, რომელიც ხელს შეუწყობს გუნდური მუშაობის პოპულარიზაციას, სითი-გეიმი კი საუკეთესო გზაა ამ პრობლემის გადასაჭრელად. ასევე ეს შეჯიბრება აამაღლებს და უბიძგებს სტუდენტებს სოციალური ინტერაქციისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლებისკენ უნივერსიტეტსა და სტუდენტებში. ის სტუდენტებს საშუალებას მისცემს შეისწავლონ თავიანთი ქალაქი, აღმოაჩინონ ახალი ადგილები და გაეცნონ ადგილობრივ ისტორიასა და კულტურას, რადგან ამ პროექტის მასშტაბი მოიცავს მთელ ქალაქს და არა მხოლოდ უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიებს. სითი-გეიმი ხელს შეუწყობს სტუდენტებში გუნდური მუშაობის განვითარებას, რის ამაღლების აუცილებლობაცაა უნივერსიტეტში, ასევე გუნდური მუშაობა და შეჯიბრება დაეხმარება უნივერსიტეტს ლიდერი სტუდენტების გამოვლენაში.

ბ) მიზანი:

ჩვენ დავისახეთ მიზნები, რომელთა მიღწევასაც შევეცდებით პროექტის ფარგლებში. პროექტის მიზნები მდგომარეობს შემდეგში:

I. ფიზიკური და გონებრივი ვარჯიში: ფიზიკური აქტივობის შერწყმა ინტელექტუალურ გამოწვევებთან, ის უბიძგებს მონაწილეებს იყვნენ აქტიური და კრიტიკულად იფიქრონ, რაც სარგებელს მოუტანს მათ ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას.

II. გუნდის შექმნა და თანამშრომლობა: გუნდური მუშაობისა და თანამშრომლობის მოთხოვნით, ის აძლიერებს კავშირებს მონაწილეებს შორის, იქნება ეს მეგობრები, კოლეგები თუ უნივერსიტეტელები.

III. საგანმანათლებლო ღირებულება: თამაში მოიცავს საგანმანათლებლო ელემენტებს, როგორიცაა თავსატეხები ან ისტორიული ფაქტები, რაც სწავლის სახალისო და საინტერესო გზას იძლევა.

IV. უნივერსიტეტი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სტუდენტებში სოციალური და კულტურული პასუხისმგებლობის ამაღლებაში.

გ) ამოცანები:

ჩვენი პრობლემებისგან გამომდინარე დავისახეთ კონკრეტული ამოცანები მიზნის მისაღწევად, მაქსიმალურად კონკრეტულად და ჩარჩოს ფარგლებში.

ჩვენი უმთავრესი ამოცანაა უნივერსიტეტის სტუდენტების გაერთიანება და ჩართვა ისეთ სპორტულ-ინტელექტუალურ თამაშში, რომელიც სტუდენტებს ერთობლივად მისცემს საშუალებას განავითარონ ისეთი უნარ-ჩვევები, როგორიცაა გუნდური მუშაობა, ლიდერობა. ჩვენი პროექტის ქვე-მიზანს წარმოადგენს ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია და სწორედ იმისთვის, რომ ეს მიზნები და ამოცანები მიღწეულ იქნას, ჩვენ დავისახეთ კონკრეტული გადაჭრის გზები;

ჩვენს მიერ განსახორციელებელი ამოცანები შემდგომია:

I. მონაწილე გუნდების სარეგისტრაციო ფორმის შექმნა;
II. პროექტის შესახებ ინფორმაციის გავრცელება;
III. მონაწილეთა შერჩევის გამოცხადება;
IV. თამაშისთვის დავალებების შედგენა;
V. მოხალისეთა არჩევა, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან გუნდების მონიტორინგზე;
VI. გამარჯვებული გუნდების გამოვლენა და დაჯილდოება;
VII. თამაშის შეჯამება;

დ) განხორციელების გზები:

ამოცანებში განხილულ განხორციელების გადაჭრის გზები:

I. ჩვენ ჩვენს გუნდთან ერთად შევქმნით სარეგისტრაციო ფორმას google form-ის გამოყენებით, სადაც მონაწილე გუნდის კაპიტნებმა უნდა დაარეგისტრირონ გუნდი, სადაც უნდა მიუთითონ გუნდის წევრების სახელი, გვარი, ფაკულტეტი, სპეციალობა, კურსი და გუნდის სახელი. მონიტორინგს გაუწევს ,,სტუდენტური კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი/BSU".
II. პროექტის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთვის გამოვიყენებთ სოციალურ ქსელებს, "სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი/BSU" და ,,სტუდენტური კლუბი რუსთაველის" facebook გვერდებს და სტუდენტებთან უშუალო კომუნიკაციას.
III. მონაწილეთა რეგისტრაცია გაგრძელდება 7 დღის განმავლობაში;
IV. საორგანიზაციო ჯგუფი ამ პერიოდის განმავლობაში შევქმნით თამაშისთვის საჭირო მინიშნებებს, მოვინახულებთ ამ ადგილებს და დავამზადებთ საჭირო მასალას;
V. რეგისტრაციის დასრულების შემდეგ გუნდები მიიღებენ ერთმანეთისგან განსხვავებული ფერის მაისურებსა და სამკალურებს;
VI. თამაშის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს საორგანიზაციო ჯგუფის წევრები და მოხალისეები, რომლებიც თამაშის განმავლობაში გუნდებთან ერთად იქნებიან;

საორგანიზაციო გუნდი:

- სალომე ბერიძე
- არჩილ თავდგირიძე
- მილენა არძენაძე

- ლიზი ბაბუჩაიშვილი
- ანა ვაშაყმაძე
- ნიკა საჯაია

თამაშის წესები:

I. თამაში შედგება 15 დავალებისგან, რომელიც გადანაწილდება სამ დღეზე.

II. თამაშის პირველი ეტაპის (პირველი დღის) შემდეგ გამოვლინდება 8 გუნდი, რომელსაც ექნებათ ქულათა მაქსიმალური რაოდენობა, ანუ მეორე ეტაპზე ის პირველი 8 გუნდი გადავა, რომლებიც სხვა გუნდებთან შედარებით ნაკლებ დროში შეასრულებენ ხუთივე დავალებას.

III. მეორე ეტაპის (მეორე დღის) შემდეგ გამოვლინდება 5 გუნდი, რომელსაც ექნებათ ქულათა მაქსიმალური რაოდენობადა ნაკლები დრო დაეხარჯებათ დავალებების შესრულებაში.

IV. მესამე ეტაპზე (მესამე დღე) კი გამოვლინდება გამარჯვებული გუნდები (I, II, III ადგილები), რომელთა დაჯილდოვებაც თამაშის დასრულებისთანავე განხორციელდება.

პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი 2024 წელს

(შესრულების გეგმა)

| N | პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| I ეტაპი | | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
| 1 | მონაწილეთა რეგისტრაცია და შერჩევა | + | + | + | + | + | + |
| 2 | გუნდების გადახარისხება | + | + | + | + | + | + |
| 3 | დავალებების გაწერა და მომზადება | + | + | + | + | + | + |
| II ეტაპი | | + | + | + | + | + | + |
| 1 | თამაშის პირველი ეტაპის (პირველი დღის) განხორციელება | + | + | + | + | + | + |
| 2 | თამაშის მეორე ეტაპის (მეორე დღის) განხორციელება | + | + | + | + | + | + |
| 3 | თამაშის მესამე ეტაპის (მესამე დღის) განხორციელება | + | + | + | + | + | + |
| III ეტაპი | | + | + | + | + | + | + |
| 1 | დაჯილდოება | + | + | + | + | + | + |

მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები:

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები.

მოსალოდნელი შედეგები:

მონაწილე სტუდენტებს გამოუმუშავდებათ კვლევა-ძიების, დაკვირვების, თანამშრომლობის, ურთიერთპატივისცემისა და ერთმანეთზე მზრუნველობის სხვადასხვა უნარ-ჩვევები. გაუფართოვდებათ თვალსაწიერი, განუვითარდებათ კრიტიკული აზროვნებისა და გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი . ისინი გაიგებენ სხვადასხვა საინტერესო, ისტორიულ თუ შემეცნებით ინფორმაციას. შეიცნობენ ადგილობრივ ურბანულ მხარეებს, მათ კულტურასა და ისტორიას. უნივერსიტეტი შეიტანს წვლილს სტუდენტების გუნდური მუშაობის განვითარებასა და ლიდერული თვისებების გამოვლენაში. სტუდენტების აუმაღლდებათ სოციალური და კულტურული პასუხისმგებლობა.

**მონიტორინგი:** პროექტს მონიტორინგს გაუწევს "სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი/BSU".

შეფასება:

შედეგი განისაზღვრება იმის მიხედვით თუ რამდენად კმაყოფილი იქნება პროექტში ჩართული სტუდენტები, ასევე გასათვალისწინებელია შედეგში, თუ რამდენი გუნდი დარეგისტრირდება პირველ ეტაპზე ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად და შემდეგ მათი ჩართულობა რამდენად ინტენსიური იქნება.

პროექტის ფარგლებში აგრეთვე ჩვენ ჩავწერთ ინტერვიუს თითოეულ მონაწილესთან თამაშის დაწყებამდე, თუ რას მოელიან ამ შეჯიბრებაში ჩართულობით და შემდგომ ინტერვიუს ჩავწერთ თამაშის დასრულებისთანავე, გაუმართლდათ თუ არა მოლოდინები თამაშის მონაწილეებს. მონაწილეების შეფასებებით გავიგებთ, თუ რამდენად წარმატებული და მასშტაბური იყო ეს შეჯიბრება.

პროექტის დასახელება - „**City Game**“

**პროექტის მოკლე აღწერა -** განსაზღვრა: სითი-გეიმი არის ინტელექტუალური და სპორტული შეჯიბრება სადაც გუნდები ცდილობენ მითითებული დავალებების სწრაფად შესრულებას. უნივერსიტეტში არის საჭიროება იმისა, რომ განხორციელდეს ისეთი პროექტი, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტების გაერთიანებას საერთო აქტივობაში, სითი-გეიმი კი საუკეთესო გზაა ამ პრობლემის გადასაჭრელად. ასევე, ეს შეჯიბრება აამაღლებს სოციალურ ინტერ აქციას და სამოქალაქო პასუხისმგებლობას უნივერსიტეტსა და სტუდენტებში. ის სტუდენტებს საშუალებას მისცემს შეისწავლონ თავიანთი ქალაქი, უბიძგებს მათ აღმოაჩინონ ახალი ადგილები და გაეცნონ ადგილობრივ ისტორიასა და კულტურას, რადგან ამ პროექტის მასშტაბი მოიცავს მთელ ქალაქს და არა მხოლოდ უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიებს. სითი-გეიმი ხელს შეუწყობს სტუდენტებში გუნდური მუშაობის განვითარებას, რის ამაღლების აუცილებლობაცაა უნივერსიტეტში, ასევე გუნდური მუშაობა და შეჯიბრება დაეხმარება უნივერსიტეტს ლიდერი სტუდენტების გამოვლენაში.

| N | განსახორციელებელი აქტივობის/ ღონისძიების/ ხარჯის დასახელება | გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება | თანხა | მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი | ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ივლ | აგვ | სექ | ოქტ | ნოე | დეკ | |
| 1 | საკანცელარიო და სხვა საჭიროებები | ფურცელი, კალმები, მაისური, სკოჩი, წებო, მაკრატელი, სამკლაური, სერტიფიკატი | 1400 ₾ | იქნებიან სტუდენტები უზრუნველყოფილი შესაბამისი საჭიროებებით | სითი გეიმში ჩართული სტუდენტების კმაყოფილება | + | + | + | + | + | + | |
| 2 | პრიზი | I გუნდი-1000 ₾<br>IIგუნდი - 600 ₾<br>III გუნდი– 400 ₾<br>მედალი 12<br>თასი -3 | 2300 ₾ | სტუდენტები იქნებიან მოტივირებული | სითი გეიმში ჩართული სტუდენტების კმაყოფილება | + | + | + | + | + | + | |
| 3 | კვება | წყალი 0.5 ლიტრი | 300₾ | სტუდენტების წყლით მომარაგება | სტუდენტთა კმაყოფილება | + | + | + | + | + | + | |
| 4 | შრომის ანაზღაურება | ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურება | 1000 ₾ | სტუდენტთა მოტივირება | მოტივირებულ ი სტუდენტი | + | + | + | + | + | + | |